

სიამაურთლის



№ 39

ყოველ პვირული ჟურნალი

№ 39

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, პლენანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.

ფასი 5 კაპ.

რედაქცია

ლია ყოველ დღე { დღის 2 ს. საღამოს 6 ს.

25 აგვისტოს

ქ. თბილისში შესდგება გაფართოებული თათბირი მენშევიკურ პარტიის გასულ წლის ყრილობის დელეგატებისა და ადგილობრივ საინიკ. ბიუროებში მომუშავე ამხანაგების. თათბირზე მოწვეულია შემდეგი ამხანაგები:

- ბათუმიდან:** 1) გიორგი ამალობელი, 2) ბიქტორ ჭელია, 3) კალენიკე გოგობერიძე;
 - ოზურგეთიდან (გურია):** 1) დავით ერქომაიშვილი (შემოქმედი), 2) ლადიკო ყენია (საქამბა-სერი), 3) კვაქანტირაძე (ოზურგეთი);
 - სამტრედიიდან:** 1) კიმოთე შენგელია, 2) ვასილ ვიბლაძე, 3) გიორგი ტრონიჯაძე, 4) სევერიან ხვიჩია, 5) ის. თელია (ხერხის ქარხანა);
 - ფოთიდან:** 1) მახარაძე, 2) სოლომონ პაიჭაძე;
 - ახალ-სენაკიდან (სამეგრელო):** 1) ჭრშილე ბალათურია, 2) ოლა ჩოჩია, 3) ერ. ბესელია;
 - ქუთაისიდან:** 1) თეიმურაზ ქუმბურძე, 2) გრიგოლ კვიციანიძე, 3) სულაბერიძე;
 - რაჭა-ლეჩხუმიდან:** 1) მინა გვენცაძე (სოფ. ღვარდია);
 - შორაპნის მაზრა:** 1) ნიკო ცირეკიძე, 2) ვასო მაქავარიანი;
 - ბორჯომიდან:** 1) არ. როსტომაშვილი, 2) არჩილ ელისაშვილი, 3) მოსე მუხურაძე;
 - ხაშურიდან:** 1) სიმონ ბაბლიძე, 2) ლავრენტი ბერაძე, 3) კვიციანიძე;
 - გორიდან:** 1) ნესტორ ქერქვაშვილი, 2) პორ. ფერემიძე, 3) ალექსანდრე ჩუთკერაშვილი;
 - გორის-მაზრა:** 1) გიორგი გაგლოვი, (ატენის და გუჯარეთის ხეობა), 2) მიშა მარგივეი (მეჯვრისხევი);
 - ცხინვალიდან:** 1) კოსტა ჯატივეი (დიდი);
 - დუშეთიდან:** 1) მინა ქურციკიძე;
 - გარე-კახეთიდან:** 1) ვასო ქანჯარაშვილი (სა-გარეჯო), ვანო მაისურაძე (ტურა, სართიქალა);
 - თელავიდან:** 1) ვანო დავითიანი;
 - ხილნალიდან:** 1) პარმენ გელაშვილი, 2) გონაშვილი;
 - სოხუმიდან:** 1) ილია ჯულელი;
 - კოჯორიდან:** 1) ვლადიმერ ბერაძე;
- თბილისიდან დასასწრებ ამხანაგებს მოწვევის შესახებ ცალკე ეცნობებათ.

თათბირის მომწვევი კომისია.

როდის მოხდება რურის ევკაპაციის

რურის კითხვა დღესაც ისეთი სიმწვავეთ სდგას დასავლეთ ევროპის წინაშე, როგორც ეს მის ოკუპაციის პირველ დღეებში იყო.

კაპიტალისტურ ევროპის ეკონომიურად დაავადებულ სტრუქტურაზე ეს იარა იმდენად მტკივნეული და მძიმე შეიქნა, რომ მის განუქურნავათ არ შეუძლია დასავლეთ ევროპას ეკონომიური წონასწორობა აღადგინოს.

რამ გამოიწვია რურის ოკუპაცია? აქ რა თქმა უნდა ყველაზე ნაკლებათ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ რურის დაქვრით საფრანგეთის ბურჟუაზიის მხოლოდ სამშობლოს გერმანიის თავდასხმისაგან უზრუნველყოფა ამოქმედებდა.

ევროპის ყაჩაღურ ზევის შემდეგ, როცა გერმანია იძულებული გახდა კონტრიბუციის სახით საფრანგეთის მრეწველობისათვის სათბობი მასალა უსასყიდლოთ მიეწოდებია, საფრანგეთის ბურჟუაზიის გერმანიის ეკონომიურად დამორჩილების და დაძაბუნების კითხვა გადაწყვეტილათ მიანდა. ერთი საშუალო კონკურენტი ევროპის კონტინენტზე მას თითქოს ორივე ბეჭებით წაქეუული, მიწაზე განართხული ჰყავდა.

სინამდვილემ სულ სხვა შედეგი მოიტანა. სამუშაო ხელფასის საშინლად დაცემამ და სამხედრო მრეწველობის დემოლიზაციამ გერმანიის მრეწველობა მოკლე ხნის განმავლობაში ფეხზე დააყენა და გერმანული ფაბრიკატები გაცილებით ხელმისაწვდომ, დაკლებულ ფასებში გამოვიდა მსოფლიო ბაზარზე.

საფრანგეთ-ბელგიის ბურჟუაზიამ, ცნობილ „კომიტე დე ფორჯის“ (სამთა-მადნო და მეტალურგიულ მრეწველობის კომიტეტი) სახით რომლის ხელშიც არის საფრანგეთის თითქმის მთელი მძიმე ინდუსტრია და რომელიც ცნობილია, როგორც ქვეყნის ფაქტიური მთავრობა, —მაშინვე ბუკი და ნაღარა დაჭრა.

ევროპის ზაფხა გამარჯვება ბრძოლის ველზე დამარცხებულ გერმანიის ბურჟუაზიას არ

გუნა. საფრანგეთ-ბელგიის კაპიტალისტებს დათვის და გლეხის არაკი მოუყიდათ: —თაველის ნაცვლად მათ მხოლოდ პურის ჩალა ერგოთ, ბოლოკის მაგიერ მათ ფოთლის ქვერო შერჩათ ხელში.

საჭირო გახდა კვლავ იარაღით ზეგავლენის მოხდენა. საჭირო შეიქნა კვლავ სერჟანტის ხიშტის მოშველება. გერმანიის უნდა ჩამორთმეოდა, უნდა მოკვეთოდა ის მთავარი მხარე, რომელზედაც დაყრდნობილი იყო მთელი მისი ეკონომიური ძლევამოსილება, ასეთი იყო რურის ოლქი.

საფრანგეთ-ბელგიის ბურჟუაზიის კარნახით „კომიტე დე ფორჯის“, ფაქტიური მთავრობის ბრძანებით მოკავშირეთა ჯარებმა შესდგა ფეხი რურის ოლქში და მოსჭრა ის გერმანიის ნაციონალურ მრეწველობას.

ეს აშკარა, ყოველად გაუმართლებელი ბოროტება იყო თვით ბურჟუაზიულ თვალთახედვის, ელემენტარულ რიგიანობის და სამართლიანობის მხრივაც-კი, მაგრამ ევროპის საზოგადოებრივი აზრი, დასავლეთის პროლეტარიატი ჯერ კიდევ სავსებით ვერ გამოუხიზლებულიყო იმპერიალისტურ ომის ღურმანისაგან.

მეორე ინტერნაციონალმა პირში წყალი დაიგუბა, მან აქაც ისეთივე უსასოება და ლამობა გამოიჩინა, როგორც ომის პირველ დღეებში.

მაღე ორი წელი გახდებამ მას შემდეგ, რაც საფრანგეთ-ბელგიის ბურჟუაზიამ ეს შეთანხმებული, ავანაჟური მტაცებლობის ნაბიჯი გადასდგა და ეს კითხვა, რურის ოკუპაციის ფაქტი დღესაც ზევ ამრდილათ დასტრიალებს თავს მთელ კაპიტალისტურ ევროპის კეთილდღეობას.

ბურჟუაზია, რომელსაც ყველაზე მეტი ლაპარაკი უყვარს სხვის უსამართლობაზე, პროლეტარიატის სიმკაცრეზე, შეუბრალებელი და დაუნდობელია დამარცხებული მოწინააღმდეგის მიმართ.

მან გერმანიის რურის წართმევა არ აკმარა. მოკავშირეთა პირდაპირი დახმარებით მას მეორე მხრიდან პოლონეთი შეეცვლია და სი-

ლეზიის ნახშირის მალაროების საგრძნობი ნაწილი ხელიდან გამოაქალა.

ამავე დროს მრეწველობის, წარმოების საშვალტბა მოკლებულ გერმანიას მოკავშირეთა თავდასული ზურთუზაზია თამასუქს თამასუქებზე უყენებდა საკონტრაბუტუი თანხის გასანაღღებლათ.

სარეპარაციო კითხვა ჩიხში მოემწყვდა. ევროპის ეკონომიური წონასწორობა კიდე უფრო შიერიყა საერთო ეკონომიურ ორგანიზმიდან ისეთი მძლავრი ერთეულის გამოკლებით, როგორც გერმანია იყო.

ორ წლამდი გრძელდება რურის ოკუპაცია. ამ კითხვებზე მოიტება კისერი პირისხლიან პუნაქარეს კაბინეტმა. ამავე კითხვას უფლის გარს ერიოს მთავრობაც.

რურის კითხვა გახდა ლონდონის კონფერენციის თავსამტერვე საგნათ.

ის დღეს-მინც გადაუჭრელია.

დებეშების ცნობით საფრანგეთი თანახმაა დასცალოს რური ერთი წლის განმავლობაში. ჩვენ ვიცით რას ნიშნავს ერთი წელი ბურუტუაზიის დაპირებში.

მას შემდეგ, ვინ იცის, კიდე რამდენი კონფერენციები შეიკრიბება სალაყბოთ, რამდენი ახალი კითხვები წამოიჭრება საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობაში.

და რომც მოხდეს კიდეც სასწაული, რომც შეასრულოს პირნათლად საფრანგეთ-ბელგიის ბურუტუაზიამ ასერი პირობა, ეს ხომ გერმანიის მრეწველობის კვლავ ფეხზე წამოღგომას მოასწავებს, ეს ხომ კვლავ აღადგენს გერმანიის კონკურენციას?

როგორ უნდა მოისვენოს ამის შემდეგ საფრანგეთ-ბელგიის ბურუტუაზიამ, ის კვლავ იარაღს ააეტარუნებს, ის კვლავ შექმნის რურის ახალს და თავსამტერვე კითხვას.

უარისყოფის პარტია.

მენშევიკური პარტია უარყოფის პოლიტიკის კლასიკურ მაგალითებს იძლევა.

დღეს აშკარად, ყველას გასაგონრად სჩადის და ამბობს ერთს, ხეალ ამაზე ციე უარს აცხადებს, თავს უმანკო ანგელოზათ იკატუნებს და მის მიერ ჩადენილს და ნათქვამს უტიფრად უარსა ჰყოფს, უსირცხვილოდ უკან იხევს.

ეს ჩეულება მას განსაკუთრებით მას შემდეგ დასწემდა, რაც პარტიის უმრავლესობამ ზურგი შეაქცია და ყოველი მისი ცდა მდგომარეობის გაუმწორებისათვის მუდამ უნაყოფოთ და უშედეგოთ რჩება.

ვერაგულათ, მუხანათურად მოპკლეს ძველი რევოლიუციონერი, გულწრფელი მუშა ილარიონ გიორგაძე. ამით სურდათ ორგანიზაციის რღვევის პროცესი შეეჩერებინათ, პარტიიდან გასასვლელად მომზადილებისათვის და მათთვის ხელის შეწყობა.

ნამდვილათ—კი ილ. გიორგაძის მხეცურმა მკვლელობამ პარტიის დაშლა უფრო და-

აჩქარა, ფართე მასის ღრმა აღშფოთება გამოიწვია და პარტიაში კიდეგ შერჩენილი, ყველა ოღნავ საღათ მოაზროვნე,—გამოფხიზლების გზაზე დააყენა.

წაუხდა ცეკას ნახტომი, ანხ. გიორგაძის მკვლელობით სხვისკენ მოქნეული მუშტი თითონ მასვე მოხვდა. მაგრამ მეორე დღესვე განაცხადა, რომ ეს მკვლელობა ჩეკის საქმეა და ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართო.

ბავსაც, ძუძუ-მწოვარა ბალსაც-კი დიმილს მოგვრიდა ასეთი გულტბრყვილო ფანდი, მაგრამ მას ამისგან წარბიც არ შეუხრია.

მენშევიკურ პარტიის ავანტიურის, გზა-ანეულების და პოლიტიკურ გახრწნის ს. დევიდარიანის მიერ მომკვიდინებულ მხილებამ ყველა პარტიისან, სოც.-დემოკრ. პარტიასთან ოღესმე ახლო მდგომ აღამიანსაც-კი სირცხვილისგან კბილებში ოფლი გამოადინა. მენშევიკური ცეკა არც აქ დაინბა.

რა უყოთ, რომ სეთიმა ჩოლოყაშვილთან კავშირის დოკუმენტები აღმოაჩინა, რა უყოთ, რომ ეს საბუთები იარალით აჯანყებზე და ბანდიტიზმთან კავშირზე ლაპარაკობენ, ეს ყველაფერი ჩეკის შეთხზული არაკია, ეს ყოველივე ჩეკის პუბლიცისტებმა მოიგონეს, ხოლო მოსყიდულმა სეთი დევიდარიანმა ეს ჩვენ საქმედ გამოაცხადაო...

დიუქირეს ბენია ჩიკვიშვილი, რომელიც საზღვარ გარეთიდან სპეციალურ დავალებებით ჩამოვიდა, რომელიც საქართველოში აჯანყების ორგანიზაციას აწყობდა.

ცეკამ მეორე დღესვე ბენია უღანაშული, უმანკო მსხვერპლათ მონათლა. მისი საქართველოში ჩამოსვლა სამშობლოს დანატრებულ მოქალაქის სახლო ჩამოსვლოთ გამოაცხადა.

ამავე ჩიკვიშვილს საგანგებო კომისიამ აღმოუჩინა ნ. ჟორდანიას წერილი, სადაც აჯანყების ჯოჯოხეთური გეგმა იყო მოცემული საბუთათ ხელისუფლების დასამარცხებლათ.

პრესამ ეს წერილი გამოაქვეყნა, რამაც საბოლოოთ გაჰფანტა ყოველივე იქებები ქართული მენშევიკების გონზე მოსვლის, გამოსწორების გზაზე შედგომის შესახებ და იმ ციორიციზოვან სამწყსოშიც არევე-დარევა შეიტანა, რომელიც დღემდი კიდეგ ყურს უგდებდა არალეგალურ ცეკას ფეხის ხმას.

ვისაც ახსოვდა ჟორდანიას არაერთხელ განმეორებული განცხადებები: ბოლშევიკებთან იარაღის საშვალებით შებრძოლების უარისყოფა, ვინც იცოდა როგორი წინააღმდეგი იყო ის ერთ დროს ესერების, როცა მათ იარაღით გაილაშქრეს საბუთათ ძალაუფლების წინააღმდეგ, მისთვის ჟორდანიას დღევანდელი პოზიცია მრავალი მწარე ფიქრების და მგრძნობის აღმძვრელი შეიქმნა.

ამ წერილმა ყველაფერს ფარდა ახადა, საბოლოოთ გააშოშვლა ქართული მენშევიზმი და მისი ავანტიურისტული გზა ყველასათვის თვალით დასანახი გახადა.

მენშევიკური ცეკა აქაც „მაგრად“ დახვდა საფრთხეს. მან კვლავ უარისყოფის მეთოდს

მიმართა. მისი აგენტები დღეს დაძრწიან ხალხში და, სხვა რომ ვერაფერი გამოსავალი უბოვიათ, უხიტიბროთ აცხადებენ:

— ჟორდანიას წერილი ბოლშევიკებმა შეთხზეს, ჩეკის კალმოსნებმა გამოაცხესლო.

ასე და ამნაირათ. ცეკას უტიფრობას დასასრული აღარ უჩანს. მისი ამგვარი საქციელი იმ საბრლო გლეხის მდგომარეობას გვაგონებს, რომელიც ნაქურდალი ნივთებით საკუთარ სახლო შეიპყრეს და მინც დაჟინებით გაიძახოდა: „Я не я, хата не моя“.

სანამდი უნდა არალეგალურ ცეკას იბოგინოს ამგვარი უღლეური პოლიტიკით!

სიმონ ზეინკალი.

ორი პრი.

ამას წინათ, ბენია ჩიკვიშვილთან აღმოჩენილ სადირექტივო წერილში, იმ წერილში სადაც ნ. ჟორდანიას ადგილობრივ მენშევიკურ პარტიის ნამსხვრეებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა და აჯანყების თადარიგსაც იძლეოდა, სხვათა შორის შემდეგი ადგილიც იყო:

„ჩვენ ვეუბნებით ყველა ხალხს—ებრძოლეთ საბუთათ ტირანიას ისე და იმ გზით, როგორც ებრძვის საქართველოს სოციალდემოკრატია, მთელი ქართველი ერი“.

დღეს ყველასათვის აშკარაა როგორ ებრძვის „საბუთათ ტირანიას“ საქართველოს სოციალდემოკრატია.

ბრძოლა ხომ მარტო იმაში არ გამოიხატება, რომ ღობის უკან ჟორიკანა დედაკაცივით პროვოკაციული ხმები ავრცელო საბუთათ ხელისუფლების აღსასრულის მოახლოების შესახებ, ცრუ იმედებით ჰკვებო საკუთარი თავი და თითო-ოროლა გზა-ანეულები ავანტიურისტი, რომ დღეს თუ ხვალ მოვა ვეროპიდად ბატონი და ბოლშევიკურ მთავრობას კისერს მოუგრესლო, ან დროგამოშვებით ულაზათო და უშინაარსო ფურცლები აცხო? ასეთი ბრძოლით ბევრს ვერაფერს მოიგებს ს. დემოკრატია, ის ამ გზით მიზანს, რათქმა უნდა, ვერასოდეს ვერ მიალწევს.

რაც შეეხება ქართველ ერის ბრძოლას, რასაკვირველია, აქ ქართველ მენშევიკებს ვერავინ ვერ შეეცილება, რადგან მათ დიდი ხანია დააიწყდათ ერის მარქსისტული გაგება. მათთვის ყველა ქართველი: მღვდელი, ბერი, აზნაური, თავადი, მუშა, გლეხი—ყველა ერია დღეს. კიდეგ მეტი, მათ დღეს ერის ახალი შემეცნებაც შექმნეს: ყველა, ვინც საბუთათ ხელის უფლებას იმს უცხადებს ჩვენში, ყველა ვის მატერიალურ და უფლებრივ კეთილდღეობასაც პროლეტარულ ხელისუფლებამ ხელი შეახო, ყველა ეს სოც.-დემოკრატის აზრით ქართველი ერია. მთელი ეს კურთხეული „ერი“, საბუთათ ხელისუფლებასთან ბრძოლით იმავე ჟორდანიას სიტყვით თურმე უღარესად დემოკრატული პრინციპების განხორცილებას ემსახურება და ერის ჰემშიარტ თავისუფლებისათვის იბრძვის.

რაზან აგვრა—ჩვენ თამამად შევეიძლა ქარ

ჩვენი ჟურნალის მორიგი და საიუბილეო ნომერი გამოვა ორშაბათს, 25 აგვისტოს 1924 წ.

თულ ს. დემოკრატიას გზა დაულოცოდ და მას თავზე ერისათვის წამებული გვირგვინი დაედავად.

ჩვენი ერი-კი, ქართველი მუშა და გლეხი, „საბჭოთა ტირანიას“ მხარში უდგას და მასთან შესისხლხორცებულია. ქართულ სოც.-დემოკრატიის მშრომელი ელემენტი კარგა ხანია ამ გზით წავიდა.

იმას, რაც ტირანია მუშათა კლასისათვის, ბურჟუაზიულ ფარისევლების ენაზე—ქეშმარიტი დემოკრატია ეწოდება, საბჭოთა მართვა გამგეობის სისტემა-კი, რომელიც მშრომელ ნაწილის, კაცობრიობის უმრავლესობის პოლიტიკურ ბატონობის გარანტიებს ქმნის, ამავე ფარისეველ ბურჟუაზიულ იდეოლოგიისათვის მიუტეველი ბოროტება და ტირანიაა.

მაგრამ რა გაეწყობა, ასეთია კლასთა ბრძოლის კანონი, ასეთია კაპიტალისტურ ურთიერთობის ვითარება და მისგან წარმოშობილი კლასობრივ იდეოლოგიის სხვადასხვაობა.

ამიტომ აქ გასაკვირიც არაფერია, რომ პროლეტარულ პლატფორმიდან მუშათა, კლასის გზიდან ერთხელე გზა-ამცდარი ქართული სოც.-დემოკრატია გადაგვარების უმაღლეს წერტილამდე მივიდა და დღეს ის ჩვენებურ წვრილბურჟუაზიის, მემჩანურ ელემენტის მიბაირახტრე შეიქნა.

დეგენერაცია, გადაჯიშება—მართო ქართულ მენშევიზმის ხედრი როდია. ოქტომბრის რევოლუციამ ასეთივე დღეში ჩააყენა რუსეთის სხვა სოციალისტური პარტიები. პირველ რიგში-კი რუსეთის მენშევიზმი და ოდესღაც ძლიერი, სახელგანთქმული ცნერული პარტია.

ა. შ - ლი.

ყოველმანაის კაზარა, რამზეი—პრემიერია...

კერზონის ღვიძლი მემკვიდრე, რევოლუციის გერია.

მელა მგელისა სწორია ყრმა იყოს თუნდაც ბერია,

საბჭოთა კავშირს თათბირი მან გაუმართა გრძელია.

ეს საქციელი მოძმისა მოძმისთვის საწუნელია:

რა არი იგი მთავრობა საქმე თუ არ ქნა ბნელია,

მუჯღუგუნი ჰკრა მოყვარეს, მტერს გაუწოდა ხელია;

ემიგრაცია ევროპის ამ ამბით განახელია.

ასე ფიქრობენ: „რამზეიმ“ ჩვენ გვიქნა საქმე ავია;

დასრულდა ბჭობა ოთხი თვის, შეჭკრეს პირობა, ზავია,

ჩვენ გვიჩვენებდა თეთრ კბილებს, გული კი ჰქონდა შავია.

თუ კაცი დასთმობს თავისას, ჯანდაბანს მისი თავია.

არ ჩაიშალა, არ შეწყდა კონფერენცია, ყრილობა;

ასეთ საქმენით რამზეიმ კვლავ მოგვიმატა ჭრილობა.

როცა არ არის სინდისი, აღარ ღირს მასთან ცილობა,

სახამთროდ კაცი დაფასდა და კიტრად მისი ზრდილობა.

კონწარი.

25 აგვისტოს თათბირისთვის.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იცის, თბილისში 25 აგვისტოსათვის, საქ. ს.-დემოკრატიულ პარტიის უკანასკნელ ყრილობის წლის თავზე, მოწვეულ იქნება ამ ყრილობის ყოველ დელეგატთა გაფართოებული თათბირი.

უკვე დაიგზავნა ადგილობრივ ამხანაგების მოსაწვევი მიწერილობები. ყველა რაიონებს, სადაც კი ადგილი ჰქონდა ადგილობრივ კონფერენციებს და წარმოგზავილი იყო ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი რიცხვი დელეგატების, ამ თათბირზე დაეთმობათ რამდენიმე ადგილი.

თათბირზე, რომელიც როგორც განზრახულია, გასტანს ერთს ან ორ დღეს, დაესწრება

აგრეთვე თბილისის რაიონების ყველა დღე-გატემა.

მთავარი კითხვა, რომლის გარშემოც ექნება თათბირს მსჯელობა—არის ს.-დემოკრატიულ პარტიის უკანასკნელ ყრილობის მიერ მიღებულ დეკლარაციების და დადგენილების შეფასება. ესაა, როცა ერთი წლით დემორადით ამ დადგენილების მიღების დღეს, როცა ამ ხნის განმავლობაში მრავალ ყურადსაღებ ფაქტებს ჰქონდა ადგილი, როგორც საერთაშორისო, აგრეთვე საბჭოთა კავშირის შინაურ ვითარებაში, როცა იატაკ ქვეშ დარჩენილმა „სამოზენაცურმა“ ცემა ბევრი მიუტეველ ნაბიჯი გადასდგა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ს.-დემოკრატიულ პარტიის სახელით, თათბირს კითხვებისადმი გარკვეულ მიდგომის

ის პასუხი არ არის.

(დასასრული)

IV

ნ. ჟორდანიას დაუწყია განყენებულათ აზროვნება. იღებს, მაგალითად, დასავლეთ ევროპას, რუსეთს და ამბობს—„კაპიტალისტური ექსპლოატაცია იძლევა პოლიტიკურ საშუალებებს ბრძოლის და თავდაცვისას, საბჭოთა სისტემა ამ საშუალებებსაც არ იძლევა, მის ფარგლებში მთელი ხალხი გადაკეულია ილოტებათ, მოკლებულია ყოველგვარ უფლებებსო“.

შეიძლება თუ არა აქედან ის დასკვნა, რომ საბჭოთა სისტემა უნდა ჩამოვარდეს რუსეთში და მის მაგივრათ გადმოინერგოს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სისტემა?

ნ. ჟორდანიას იმაზე კი არ უნდა შეეჩერებინა თავის ყურადღება, რომ დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტური სისტემა იძლევა ბრძოლის და თავდაცვის პოლიტიკურ საშუალებებს: უნდა დაესვა კითხვა, რა სახეს მიიღებს ეს კაპიტალისტური სისტემა რუსეთის სინამდვილეში საბჭოთა ძალაუფლების ჩამოგდების შემდეგ. ყოველ შემთხვევაში „დემოკრატიის ძირითად დებულებას, ცხოვრების ღრმა მიმდინარეობას, ხალხის თავისუფლებას“, არ მიეცემა არავითარი ადგილი.

სოციალისტური პარტია უნდა იბრძოდეს უკეთეს რამისთვის, ეს ჩამოვადგოთ, ამაზე უარესი ხომ მაინც არ იქნება რაო;—ასე იტყვის უბრალო, პოლიტიკურათ ბრაცვი მოსახლე. ასე ვერ იტყვის პარტია და პარტიის ხელმძღვანელი.

ცალმხრივია და შემცდარი ნ. ჟორდანიას, როცა ამბობს,—საბჭოთა სისტემა არის ახალი ფორმა პროლეტარიატის და მთელი ხალხის საშინელი ექსპლოატაციის, რუსეთში აშვებულია ყველაზე უარესი ფორმა კაპიტალისტური მტაცებლობის „ნეპის“ სახით.

ეს მხოლოდ ცალი მხარეა სინამდვილის, არის მეორე მხარეც.

საბჭოთა ძალა-უფლებამ შემოუშვა ახალი ეკონომიური პოლიტიკა „ნეპი“, ახალი ბურჟუაზია თარეშობს, ფრთებს ისხამს. მაგრამ საბჭოთა ძალა-უფლება იმავე დროს ებრძვის ნეპს, ცდილობს შეაფიქროოს მისი სათარეშო ასპარეზი, ცდილობს არ გააშლევინოს ფრთები. ნეპის შემოშვება და ნეპის წინააღმდეგ ბრძოლა—ეს არის ორი მხარე იმ პროცესის, რომელიც გვაქვს დღეს რუსეთის სინამდვილეში.

ნეპი არ მოაისობა ბოლშევიკების ჩამოგდებით. ახალი ბურჟუაზია დარჩება ისევ თავის ადგილზე და არ გაუკეთესდება იმით, რომ ბოლშევიკები აღარ იქნებიან სახელმწიფოს სათავეში.

ჩამოვდება საბჭოთა სისტემის, თუ იმის ნიადაგზე მუშაობა და მისი გაუმჯობესების ცდა? ასე სდგას საკითხი ჩემთვის. ძალიან ადვილია იმის დამტკიცება, რომ საბჭოთა სისტემის ხეირიანი მემკვიდრე არ ეყოლება. ამას ნ. ჟორდანიაც ამტკიცებს. ძალიან ძნელია იმის დამტკიცება, რომ საბჭოთა წესწყობილებაში შეუძლებელია გაუმჯობესება.

ნ. ჟორდანიას უნდა დაუკვირდეს საქართველოს არა მართო აქედან მიღებული ცნობებით და მაშინ ის უთუოდ დაინახავს, რომ კულტურულ ეკონომიურ ასპარეზზე აქ ბევრი რამ არის გაკეთებული და დაწყებული. გაცილებით უფროა, ვიდრე ჩვენ დროს იყო. მაგრამ უფროც რომ არ იყოს, მაინც არ უნდა ითქვას,—დანგრევა და ხელახლა დაწყება სჯობია ყველაფრისო. არ გექნება უკეთესი პირობები, უკეთ დაიწყო და უკეთ გააკეთო.

ამიტომ მივსწერე მე ჟორდანიას, დაბრუნდით, არსებულ წესწყობილების ნიადაგზე იმუშავეთ-თქო. ის ამაზე მიპასუხებს, რომ ბოლშევიკებთან შეთანხმება არ მოხერხებულა და არც მოხერხდება. ბოლშევიზმი და მენშევიზმი, ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიმდინარეობა დამყარებულია ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე თეორიულ და ტრაქტიკურ დებულებებზე... და ვინც ფიქრობს ამ ორი ბანაკის შერიგებას, ერთ უღელში შებნას,

მეტი სავალეობა ეძლევა და მას თამამად შეუძლია გაბედულად, გადაჭრით სიძველეს ის, რაც მარშანდელ ყრილობაზე შეიძლება კიდევ ყოყმანს, გაუბედობას და იშვებს იწვევდა.

ყრილობის წლის თავზე უნდა ითქვას, რამდენად მართალი, სწორი აღმოჩნდა ის გზა, რომელიც 25 აგვისტომ მისცა საქართველოს ს.ლემოკრატიის რიგებში მყოფ მშრომელ ელემენტს.

თათბირი ამასთან ერთად განიხილავს იმ ამხანაგების მოხსენებას, რომლებიც ამ ერთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ ყოფილ მენშვეიკებს და მათ საბჭოთა ხელისუფლებასთან, პროლეტარულ აღმშენებლობასთან დაახლოების საქმეს.

თათბირის გახსნის დღისათვის გამოვა ჩვენი ჟურნალის „სიმართლის ხმის“ სათბილევო ნომერი.

საჭიროა ადგილობრივი ამხანაგები გამოგზავნების უწყების მიღებისთანავე შეუდგნენ თავთავიანთ რაიონებში თათბირისათვის მნიშვნელოვან ცნობების შეკრებას და მეტი მასალებით ჩამოვიდნენ თბილისში.

ს. — ი.

რკალი გეორგია.

მეორე ინტერნაციონალთან ბრძოლა უმთავრესად ტაქტიკურ ხაზზე სწარმოებს. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ისტორიულ გარდატეხის დროს ერთსაკითხს: სამოქალაქო ომის გზა, თუ პარლამენტარული დემოკრატიის გზა.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ ფიქრობს ორივე ინტერნაციონალი ამ საკითხზე.

მოკლეთ, სამოქალაქო ომს მეორე ინტერნაციონალი ავანტიურათ, დამღუპველ გზათ

სთვლის. მესამე ინტერნაციონალი კი ამის საშუალებით შედის სოციალისტურ ქვეყანაში.

ამ მხრივ აღსანიშნავია ფრიად საყურადღებო გადახრის შესაძლებლობა, რომელიც ეტყობა ევროპის მუშათა კლასს.

ჰამბურგში გაიხსნა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესი. წარმოდგენილია 28 სხვა და სხვა ქვეყანა ორ მილიონზე მეტ მუშათა სახელით. აი, ამ კონგრესზე საერთაშორისო მდგომარეობაზე მომხსენებელად გამოვიდა ფინენი და საქვეყნოდ განაცხადა: „თუ ომი ატყდა, მუშათა, კლასმა მას აქტიური წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს და იმპერიალისტურ ომს წინ წამოიყენოს სამოქალაქო ომი“. საერთაშორისო კონგრესზე ასეთი სითამამით სამოქალაქო ომის საკითხის დაყენება მარტო პროპაგანდა არაა. მაშინ მას ღირებულება მოაკლდებოდა. ასეთ საკითხის დაყენებას თავისი აქტუალური მხარე აქვს და აი როგორია:

ეგრეთ წოდებული დოუესის გეგმა, რომელიც აკურთხა მეორე ინტერნაციონალმა, თვით ამ ინტერნაციონალშივე პოპულარს დღეს მოწინააღმდეგეთ. ინგლისის ტრანსპორტის მუშათა ტრედ-უნინის გენერალურმა მდივანმა, რობერტ ულიმსმა გაილაშქრა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესზე ამ ჯოჯოხეთური გეგმის წინააღმდეგ. მან სთქვა, რომ ეს გეგმა იცავს ფინანსურ კაპიტალს და გეგვირვება გამოსთქვა, თუ რატომ მიიღეს მეორე ინტერნაციონალის ღირებულება ისო. და ეს მართალიც არის, დოუესის გეგმა უკანასკნელი სიტყვაა, როგორც ფინანსიური კაპიტალის, ისე მეორე ინტერნაციონალის. მეტს ვერაფერს იტყვის ისინი ამ საკითხში. ამას ხელდავს ევროპის მუშათა კლასი. ის ხელდავს იმასაც, რომ ინგლისის „მუშათა მთავრობის“ წევრი სოცია-

ლისტი — ტომასი ბანკირებისა და კაპიტალისტების ბანკეტზე აცხადებს: კლასიური ცრუმორწმუნეობისა და ვიწრო პარტიული სული-საგან უნდა გავნთავისუფლებდეთო“.

ასეთი „სოციალისტი“ სოციალიზმის გერია, თანამედროვე სოციალიზმი კლასობრივი ბრძოლისა და განვითარებული ტექნიკის სინტეზია. კლასობრივი ბრძოლა ვერ ეგუება ბურჟუაზიასთან შეთანხმებას.

ი, ვინც მიდის ამ გზით, შორდება მუშათა კლასს, ყველაფერი, რაც დღეს ხდება ევროპაში, იმაზე ღიადდება, რომ **სანამ მუშათა კლასი თავს არ დააღწევს ბურჟუაზიულ ილიაზიებს, შეთანხმების პოლიტიკას, პარლამენტარულ კოპოზანაობას, — მანამ ვერ გაიმარჯვებს პროლეტარიატი.** არ შეიძლება ბურჟუაზიულ პარლამენტებში გაკეთდეს მუშათა საქმე. არა! ერთადერთი გზა მიდის კლასობრივი, შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის გზით.

ეს გზა კი სამოქალაქო ომის გზაა, თუ ბურჟუაზიამ აყლარუნა იარაღი, ვერ ასცდება ამ გზას, ევროპის პროლეტარიატი. ვერ ასცდება ამ გზას ევროპის მომავალი სოციალიზმი. ამ გზაზე ევროპის პროლეტარიატის ფეხის ადგმა იქნება ბურჟუაზიის ორივე ფეხებით სამარეში გადაგარდნა: ყოველი სხვა გზა უშედეგო, უშიდადო და უწყალო მუშათა კლასისთვის.

ამიტომ აღსანიშნავია თვით ამ გზის აუცილებლობაზე ლაპარაკი საერთაშორისო კონგრესზე. სიანს დაიძრა კვლავ წერტილიდან ძველი, დახატული აზრი. გაიროლა საშინელი ფსიქოლოგიური კონსერვატივიზმის რკალი.

და რაც ჩქარა ახმაურდებიან ბარიკადები ევროპის ქუჩებზე, რაც ადრე აგუგუნდება სამოქალაქო ომი მისი ცეცხლითა და მახვილით, მით უფრო ადრე დაჰკრავს ალთაქმის სათით.

რ. ქორქია.

ის მართლა შეპყრობილია ილიუზიებით და უტოპიითო“. ნ. ჟორდანის მოჰყავს არა ერთი და ორი მაგალითი იმის დასამტკიცებლად, რომ ბოლშევიკები არაღის არ ინდობენ და არ ითანხმებენ.

აქაც, მე გვგონია, ნ. ჟორდანია საკითხს ზერელე აყენებს.

არის ბოლშევიზმი და მენშევიზმი ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასი, თუ ორი მიმდინარეობა ერთი და იმავე კლასის? — ასე უნდა დაეყენებია საკითხი. თუ ეს ორი მოპირდაპირე კლასია, მაშინ მათი „შეხმა ერთ უღელში“ მართლა უნდადგო ოცნებაა, უნდადგოც და მანებელიც. თუ ეს ერთი და იმავე კლასის ორი მოწინააღმდეგე მიმდინარეობაა, მაშინ შესაძლებელიც არის ერთ უღელში შეხმა და სასარგებლოც.

ყოველ შემთხვევაში თითონ ნ. ჟორდანია ეწეოდა ხოლმე მომრიგებელ შეამავლობას, როცა რუსეთის ბოლშევიზმი და მენშევიზმი ჯერ სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებას არ ეტანებოდნენ. არც მერე იყო ხოლმე ის შეთანხმების წინააღმდეგე. ნ. ჟორდანია 1924 წ. მეტადრე ამ „ჩემი პასუხის“ დამწერი არ გაგს ნ. ჟორდანის 1921 წლისას და არც 1921 წლის დასაწყისისას.

ბოლშევიკებს არ უნდათ შეთანხმება და ამიტომ შეუძლებელია ესო. **ჩახაკირველია**

არ ენდომებათ, როცა ამტკიცებ, — კაპიტალისტური სისტემა ჯობია საბჭოთა სისტემასო, როცა ბოლშევიკებთან ბრძოლაში უახლოვდები ბურჟუაზიულ ევროპას, როცა ბოლშევიზმის ჩამოგდებით ეძებ დემოკრატიას.

„საბოლოო სიტყვა“ — ში ვსწერდით, რომ სახელმწიფოებრივ ძალა — უფლებებისათვის ბრძოლაში ქართული მენშევიზმი დაშორდა მუშათა კლასს და ბურჟუაზიის ფრონტს მიეკედლა. თავის თავად ცხადია, ამ ფრონტიდან თანამშრომლობაზე ლაპარაკი არ იქნება. ნ. ჟორდანია, როგორც ზემოთ ვთქვით, სუბიექტივისტია. — ხალხს არ უნდა შერიგება, და ეს არის ჩვენი ტაქტიკის საფუძველი, ამას ვემყარებით ჩვენო.

როგორც მარქსისტი კი უნდა არკვევდ, შეეფერება თუ არა ობიექტიურათ ხალხის ინტერესებს საბჭოთა სისტემასთან შეურიგებლობა. თუ გამოარკვევ, რომ არ შეეფერება, პირიქით გამანადგურებელი იქნება ეს იმისთვის, მაშინ იდეური გავლენა უნდა იქონიო ხალხზე, ებრძოლა იმის შეურიგებლობას.

ობიექტიური გამოარკვევა არ უხერხდება ნ. ჟორდანისას. ამ მხრივ სუსტათ გრძნობს თავს საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მიამათავარი თავის უკანასკნელ წერილებში. ის არ იძლევა პერსპექტივებს, ან ვერ იძლევა.

ვერ ასაბუთებს იმ აზრს, რომ საბჭოთა ძალა-უფლების დამყარება საქართველოში დემოკრატიას გააბატონებს.

— ძნელია, შეუძლებელია, არაფერი არ გამოვა და ამიტომ თავი უნდა დავენებოთ თანამშრომლობაზე ლაპარაკსო.

რა გამოვა თავი რომ დავანებოთ?

უნდა იყურებოდე ისევ საზღვარგარეთისკენ, უნდა ელოდე „ხელსაყრელ“ საერთაშორისო პირობებს, უნდა იძახოდე ყოველ გაფაჩუნებაზე, — მოახლოებულია საქართველოს განთავისუფლების დღეო.

რა გამოვა აქედან? რითია ეს უფრო ადვილი და უფრო შესაძლებელი?

რა უფრო ადვილია და რა უფრო ძნელი კი არა, — რა სჯობია, რა უფრო ხელსაყრელია ეროვნული აღორძინებისათვის და სოციალიზმისათვის, — ასე უნდა იღგეს საკითხი.

მარქსისტი თავს ვერ დანებებს ამა თუ იმ საქმეს მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელია ეს საქმე. მარქსისტი ეკიდება ამა თუ იმ საქმეს არა მარტო მაშინ, როცა წინააღმდეგე დარწმუნებულია, რომ გამოვა რამე.

ნ. ჟორდანია უნდა დამომეწმოს ერთში. თვითონვე ამბობს „ბრძოლის საკითხებში“: — ვინ იქნება მისი (ბოლშევიზმის) მემკვიდრე რუსეთში — ეს არაღინ იცის, სახარბიელო მემკვიდრე, რომ არ იქნება უეჭველიაო“. ამაში

რასობა უღმრთელი საბჭოთა ხელისუფლება.

ამ დღეებში რედაქციისადმი მომართულ წერილში ერთი ამხანაგი კითხულობდა.

„ყველაფერი გასაგებია. მესმის, რომ ხელისუფლება თავდაცვისათვის უნდა იბრძოდეს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენს ამ მხრივ, ვიდრე ამას სხვაგან აქვს ადგილი. ნუთუ ეს გამოწვეულია რევოლიუციის ინტერესების დაცვით, ნუ თუ პროლეტარული ხელისუფლება მოწინააღმდეგესთან უღმრთელ ბრძოლას გულსხმობს?“ —ო.

რა თქმა უნდა საბჭოთა ხელისუფლება, ისე როგორც ყველა ხელისუფლება, მის მოწინააღმდეგეთ თავზე ხელს არ უსვამს. თუ კი რომელიმე მმართველ პარტიას ევალება დაუნდობელი ბრძოლა მოწინააღმდეგესთან და მოუზღვებელი სიმკაცრე—ეს პირველყოფისა მუშათა მთავრობას.

პროლეტარიატის დიქტატურის დროს, მუშათა კლასის ბატონობის ჟამს სახელმწიფოებრივი აპარატი უფრო სუსხიანი და უღმრთელი უნდა იყოს.

ეს ადვილი ასახსნელიც არის. მუშათა კლასის გაბატონება, მისი მთავრობა პროლეტარულ სახელმწიფოს განმტკიცებასთან ერთად საზოგადოების სოციალურ გარდაქმნის მამოძრავებელი აპარატიც არის. ის სახელმწიფოს სიმტკიცეს და გამაგრებას მის მთავარ მიზანს—სოციალურ ურთიერთობის ძირბუდიანათ გადახალისებას უფარდებს.

ცხადია ასეთი გარდატეხის დროს, ხელისუფლებას, ძველი ქვეყნის მთელი ხროვა უპირობისპირდება, მას ბევრათ მეტი წინდახედულობა მართებს, რომ მიაღწიოს თავის დანიშნულების მიზანს. ლმობიერების, გულშემტკიცე-

რობის უმნიშვნელო ნაბიჯი-კი მას ისტორიულ გზიდან ხრამში გადაისროდა.

ასეთი შეცდომა, ლმობიერების, ბურჟუაზიულ ტლუ კაცთმოყვარეობის გზაზე შედგომა ანტიურ ქვეყნის ლუმენ პროლეტარიატს, მონებს უფრო შეშვენიდა, ვიდრე თანამედოვე ინდუსტრიალურ პროლეტარიატს.

ეს განსაკუთრებით ითქმის დღეს საბჭოთა კავშირის მდგომარეობაზე, რომელიც დამყარდა ოქტომბრის რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვებით.

რუსეთის რევოლიუციის წინაშე აღიმართა არა მარტო შინაურ რეაქციის ფრონტი, მას შინაურ მტრის გარდა სხვა მოწინააღმდეგე გამოუჩნდა—უფრო ძლიერი და უფრო საშიშარი მოწინააღმდეგე. ეს იყო კაპიტალისტური მსოფლიო, რომლისთვისაც ოქტომბრის რევოლიუცია ჩვეულებრივი გადატრიალება, კაბინეტის შეცვლა კი არ ყოფილა, როგორც ამას მიჩვეულია ის სხვა ქვეყნებში და სხვა პირობებში, არამედ ეს იყო რევოლიუცია, რომელიც საერთაშორისო ბურჟუაზიის წინაშე ყოფნა არ ყოფნის კითხვას აყენებდა.

მან ჩაგრათ იცოდა, რომ რუსეთის ოქტომბერი, ჩვენ 1917 წლის რევოლიუცია არ დაჩაგრებოდა ძველი იმპერიის ფარგლებში. მისი ტალღები ბოლოს და ბოლოს ისე, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მოძრაობა, დასავლეთ ევროპის არე-მარესაც მისწვდებოდა.

ეს ასედაც მოხდა. რუსეთის შემდეგ პროლეტარული რევოლიუცია მთელ რიგ სახელმწიფოებში იფეთქა, მაგრამ იქ ეს გამარჯვება მხოლოდ დროებითი და წარნავალი შეიქნა.

საბჭოთა რუსეთში კი ამ ხელისუფლებამ დღემდე მოატანა და სრული საბუთია ვიფიქროთ, რომ მისი დამარცხება ახლანდელ ძალთა ურთიერთობის ხანაში არც ისე ადვილი საქმეა.

საბჭოთა კავშირს ჰყავს ჯარი, რომელიც აღტურვილია ისეთი ბრძოლის იარაღით, რომელიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს ჯარს არ გააჩნია.

ესაა—ის სულიერი სიმტკიცე და იმ დიდ ისტორიულ მიზნების შეგნება, რომელიც დამარცხებული აქვს წითელ ჯარს.

ამასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლება საკმაოდ მოღონიერდა ეკონომიურადაც.

ყველაფერი ეს ჩვენი კავშირის პროლეტარიატმა მოიპოვა აუარებელ მსხვერპლის გაღებით. ეს მდგომარეობა, რომლამდისაც ესაა საბჭოთა კავშირმა მიაღწია, მრავალ ადამიანის სიცოცხლეთ დაჯდა.

სამი წლის განმავლობაში რუსეთს არ შეუძენია სამოქალაქო ომისაგან. სამი წლის განმავლობაში გააფთრებული, სამკედრო—სასიცოცხლო კლასთა ბრძოლა სწარმოებდა. აუარება მსხვერპლი დაეცა ორივე მხრივ, მაგრამ ბოლოს მაინც შრომამ გაიმარჯვა—კაპიტალზე.

ასეთი აღმოჩნდა ბრძოლის შედეგი, ასეთი შეიქნა საქმეთა განვითარების ლოლიკა.

სიბრძალი და ლმობიერება—ამ ბრძოლის დროს ერთნაირად დამღუპველი იყო ორთავ მხარეებისათვის.

მარქსი, რომელიც წინააღმდეგი იყო, პარიზის კომუნის გამოცხადების, და შემდეგ, როცა ეს მისი სურვილის მიუხედავად ფაქტად იქცა, კომუნის თავგამოდებულ დამცველად გადაიქცა. პარიზის კომუნის სწორედ იმას უსაყვედურებდა, რომ მათ მეტი ლმობიერება, მეტი გულშემტკიცება გამოიჩინეს ბურჟუაზიისადმი, ვიდრე—ეს საჭირო იყო და ამით დააჩქარეს, ხელი შეუწყვეს საკუთარ დამარცხებას.

ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელთ თვალწინ ჰქონდათ ეს მაგალითი. მათ მიერ

მე ვითანხმები ნ. ჟორდანის. ისიც დამეთანხმება, თუ თანხმა თავის თავის, და მაშინ ჩემ გზას იქით გზა არ ექნება.

თანამშრომლობა უნდა გახადო ობიექტიურათ შესაძლებელი. თუ ვერ გაიგე, რომ ბურჟუაზიის სახლს ვეღვს დგომა საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ დამღუპველი იქნება საკართველოს მშრომელი ხალხისთვის, ქართველი ერისთვის, მაშინ არ გექნება ობიექტიური შესაძლებლობა თანამშრომლობის და მართლა „ჩეკის ნიადაგზე“ მოვიხდებო დადგომა.

ის თანამშრომლობა, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, შესაძლებელია ბურჟუაზიისაგან ჩამოშორებით, საზღვარგარეთ დიპლომატიური მუშაობის შეწყვეტით და მუშათა კლასთან დაბრუნებით.

VI

მუშათა კლასთან ის არის, ვინც ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ფრონტზე დგას,—მეუბნება ნ. ჟორდანია. მეორე ინტერნაციონალმა უარი სთქვა ბოლშევიკებთან თანამშრომლობაზე და შექმნა მის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტი.

მეორე ინტერნაციონალის ტრადიციას, მე ვფიქრობ, იმაშია, რომ ორი მსოფლიო ძალის ქიდილში ის ეკედლება ბურჟუაზიის და ემიჯნება ბოლშევიზმს. ემიჯნება და ებრძვის, როგორც მიმართულებას მუშათა მოძრაობაში,

და როგორც რუსეთის მმართველ პარტიას. მეორე ინტერნაციონალი არ ფიქრობს, რომ საბჭოთა სისტემა ეწინააღმდეგება სოციალიზმის ძირითად პრინციპს, არ არის იმის მომხრე, რომ საბჭოთა სისტემის ჩამოგდებით დამყარდეს დემოკრატია რუსეთში და საქართველოში. დღევანდელი დღის ქართული მეწვეიზმი არ დგას ამ მხრივ დიდი ინტერნაციონალის ფარგლებში, ის უფრო მარჯვნივაა.

მაგრამ მეორე ინტერნაციონალს ვაშვევებული აქვს ხელიდან მარქსისტული, სოციალისტური მეშვედრობა. მის ხელში ველარ ვხედავთ დროშას მუშათა კლასის დიქტატურისას, კლასთა ბრძოლა თითქო აღარ არსებობს მისთვის, თითქო ის გზას ველარ იგნებს სოციალიზმისკენ.

აგერ წინ მიდევს მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლიუცია საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ. საინტერესოა შემდეგი სტრუქტურები ამ რეზოლიუციისში:

— ჩვენ გარდაუვალოთ და აუცილებლოთ მიგვაჩანს, რომ შეიცვალოს ჩვენი ძველი გზები და შემოვიღოთ პოლიტიკა გულწრფელობის, ერთიმეორის ნდობის, ეს იყო ყოველთვის მუშათა პარტიების პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობაში. ჟამისით არავინ არ იქნება უშიშარ მდგომარეობაში. ერთა

ლოგას რომ ცოტა მაინც ფართო დემოკრატიულ დაწესებულებათ გადავაქცევდეთ, უშიშროების გარნობა ყველგან ფესვს ვაიდგამდა, მეერ თანდათან მოვახერხებდით შეიარაღების შემცირებას და სულ განიარაღებასაცოქი“. აქ არის რალაც ქადაგება რევოლიუციონური და მარქსისტული ტაქტიკის მავიერათ. ამისთანა მქადაგებლები მუშათა კლასს ვერ წაუძლევიან, ვერ გაატარებენ დამოუკიდებელ პოლიტიკას, ვერ შექმნიან თავის ფრონტს ვერც მარცხნივ, ვერც მარჯვნივ. მარქსი ამ ინტერნაციონალში ველარ დაინახავდა იმ კლდეს, რომელზედაც უნდა აშენდეს სოციალიზმის ეკლესია.

ნურც ჟორდანია დაეცრდნობა მეორე ინტერნაციონალის ფხვიერ პოლიტიკას. კერძოთ საქართველოს საკითხში მისი შემწერე ქართველი მუშა და გლეხი დარჩა მოტყუებული, იმედგაცრუებული. მეორე ინტერნაციონალმა ის უბრალო რამეც ვერ მოახერხა, რომ სულ ცოტადნათ ხელმოსაკიდებელი თანავარნობა მაინც გაეწეა მისი მიღვეერებისთვის საქართველოში. ის უძლეური და უმწეო გამოდგა სოციალურ-პოლიტიკურ დახმარებაშიაც.

მეორე ინტერნაციონალი დამარცხდა სა-

„Социалистический Вестник“, 25 თებერვალი 1924 წ. ... აი ეს არის მართლა—რა უთქვამს, რა მოუზამავს!..

ამავე შეცდომის განმეორება გულუბრყვილობაზე მეტი იქნებოდა. ისტორია მათ არასოდეს არ აპატივებდა ასეთ შეცდომას.

ამიტომ გასაგებია ის შეუზოვარი, დაუნდობელი ბრძოლა, რომლითაც იველეს გზას საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი.

აქ გასაკვირი და მით უფრო დასაგმობი, უარსაყოფი არაფერია. თვითელი სისხლის წვეთი, რევოლუციის საქმისათვის დაქცეული, მომავალ თაობის კეთილდღეობას ეწირება.

—ი.

„უღანაგაულო მოქალაქეები“

ბენია ჩხიკვიშვილის დაპყრობის გამო არაღვებულურმა ცეკამ ფურცლები გამოუშვა, სადაც ის უარსაყოფს ბენიას ჩვენში საგანგებო დავალებებით ჩამოსვლას. ეს მას ჩეკის მოგონილ ქორებათ უნდა გაასალოს.

„ისინი თხზავენ ქორებს, თითქოს ნ. ჟორდანიამ გამოგზავნა ბენია ჩხიკვიშვილი „ინსტრუქციებით“ და „ლიტერატურებით“ „საქართველოში აჯანყების მოსაწყობათ“-ო.

რომელი ქუთათმყოფელი ადამიანი დაიჯერებს ამას,ვის უნდა ამით თვალები აუხვიოს არაღვებულურ ცეკამ. განა ჩხიკვიშვილი ისე პატარა ვაკი იყო მენშევიკურ პარტიაში, რომ ამ ყოფნა არ ყოფნის დროს, როცა სოციალ დემოკრატის მთელი მისა გარს შემოეცალა და მხოლოდ უჯარო გენერლები-და დარჩენ, ის უმოქმედოთ გაჩერებულყო? განა ასეთ დროს ეს პარტია ადგილობრივ და მისი ბიურო საზღვარ-გარეთ ბენია ჩხიკვიშვილს ხელფხვ დაკრეფილს, მოსვენებულს დააყენებდა? დღეს მენშევიკური პარტია ეკიდება ყველას

და ყველაფერს, რასაც ოდნავ მაინც კი შეუძლია განუხანგდლივის მას არსებობა. დღეს ამ პარტიის რიგებში მრავლათ მოიბოება ისეთი ეგზემპლიარები, რომელთაც პოლიტიკურ აზროვნების, ან ბრძოლის იმჩი-ბინიცი არ გაეგებათ, რომელთაც, როგორც იტყვიან, ამხრივ მუადში ნახშირის გამოღების და გარჩევის უნარი არ შესწევთ.

და ბენია ჩხიკვიშვილი, მენშევიკური ქალაქის თავი, გენერალ-გუბერნატორი, საგანგებო კომისარი და სხვა—ეს ხომ უბრალო „მომკვდავი“ არაა. რა უყოთ, რომ დღეს დამკარგა ჩხიკვიშვილიმა ქართველი მშრომელი ხალხის თვალში ნდობა და სიმპატია. მას ერთ დროს კაცს ეძახდნენ, მის სიტყვას მნიშვნელობა და გასავალი ჰქონდა, ის სხვებთან ერთად ჰქმნიდა თავის დროზე სახელმწიფოს მართვა-გამგეობის გეხს.

ასეთი კაცის უცხოეთიდან საქართველოში კონსპირაციულად, ქურდულად შემოპარება რათ დასჭირდა მენშევიკურ პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროს, თუ საგანგებო დავალებების სისრულეში მოსაყვანათ არა. ეს ხომ მაინც ფაქტია, უტყუარი, აშკარა ფაქტი, რომ ჟორდანიას მიერ არაღვებულურ ცეკასთან გამოგზავნილი სახელმძღვანელო წერილი, სადაც ის აჯანყების ჯოჯოხეთურ გეგმას იძლეოდა, სწორედ ბენიას აღმოაჩნდა დაპატიმრების დროს. რათ დასჭირდა ამ „უმანკო“ ბრძოლაზე ხელ-აღებულ ადამიანს ასეთი „უსტარის“ წამოიება საზღვარგარეთიდან?

ან თუ ჩხიკვიშვილი ჩვენ კეთილ განზრახვით, მეგობრათ გვესტუმრა, რათ მოხდა აგრ, რომ ჩამოსვლისთანავე საქვეყნოთ არ განაცხადა თავისი აზრი. შურის ძიების გრძნობა ყველაზე ნაკლებ ახლავს საბჭოთა ხელისუფლებას. მიუხედავათ იმისა, რომ ჩხიკვიშვილს

წარსულში არა ერთი და ორი ბოროტება ჩაუდენია, ბრძოლაზე გულწრფელად ხელის აღების შემდეგ, მას არავინ ხელს არ ახლებდა.

საქართველოში ამ ბოლო ხანებში მარტო ჩხიკვიშვილი არ ჩამოსულა საბჭოთა ხელისუფლებას წინააღმდეგ საბრძოლველათ. ბენიას გარდა ჩვენ გვესტუმრა მთელი რიგი სხვა „ჩვეულებრივ მოქალაქეების“ და მათ რიცხვში ვ. ჯუღელიც.

რათ გზავნიდა ამდენ „მოქალაქეთ“ საზღვარ გარეთელი ბიურო, თუ არ მენშევიკურ ორგანიზაციების კვლავ გასაცოცხლებლათ და ასამოქმედებლათ. მენშევიკურ ცეკას არც ეს-ლა შეუშლის უბრალო რიგიანობა ხელს, რომ განაცხადოს, ვ. ჯუღელი და სხვანი საქართველოში, როგორც კერძო მოქალაქენი ისე ჩამოვიდნენ და ჩეკის მტარვალმა ხელმა მაინც არ დაინდო ისინიო.

და ეს ერთობ დამახსიათებელია მენშევიკურ პარტიის დღევანდელ მდგომარეობისათვის. ის თითონაც გრძნობს, რამდენად საძრახ საქმეს სჩადის, მან თითონაც იცის როგორ დალატობს დღეს ძველ, ერთ დროს რევოლუციონერ ს.-დემოკრატის ტრადიციებს.

როგორც ერთგული, გულშემტკივარი დედა დღეს მენშევიკური ცეკა მთელს დანაშაულს, უმგავნო საქციელის პასუხისმგებლობას თავზე იღებს და ბენიას „პატიოსან“ სახელს მშობლიურ მზრუნველობით თავზე ეფარება.

ეს ფაქტი უკვე აშკარად ლაპარაკობს რამდენად საძრახი და ჩიოქის მომცხებია დღეს ყველა პატიოსან რევოლუციონერისათვის მენშევიკურ პარტიაში ყოფნა და მასთან მუშაობა.

ამ პროკლამაციით მენშევიკურმა ცეკამ თვით მოაწერა ხელი საკუთარ პოლიტიკურ სიკოტრეს და მორალურ დაკნინებას.

ძველთაგანი.

ქართველოს საკითხში. ეს ნიშნავს მის დაზარცხებას საერთაშორისო პოლიტიკაში და სოციალიზმის გზაზე. სადაც კლასთა ბრძოლის და მარქსისტული კრიტიკის იარაღია საჭირო, იქ ის აყენებს ქრისტიანულ, ქველმოქმედურ „პრინციპებს“—ნდობას და გულწრფელობას. ამისთანა საგზლით ბრძოლის ველზე შორს ვერ წახვალ, და მეორე ინტერნაციონალიც ადგილიდან ვერ იძვრება. ის არ სჩანს, ვერ სჩანს, როგორც მესამე მებრძოლი ძალა, როცა ერთმანეთს ებრძვის კაპიტალისტური სისტემა და საბჭოთა სისტემა. **მეორე ინტერნაციონალის „ძალას“ ვერ დაეყრდნობა ვერც მუშათა კლასი სოციალიზმისაკენ სვლაში და იმის იმედით ვერ ისაზრდოებს ვერც პატარა ერი ეროვნული აღორძინებისაკენ მისწრაფებაში.** მეორე ინტერნაციონალიში დარჩენა იმას გავს, რომ „ბრძოლაში მოხუცებული“ ბრძოლის მიტოვებაზე და დასვენებაზე ფიქრობდე.

ნ. ჟორდანიასთან მე ყოველთვის მქონდა გრძნობა უფრო დიდი და იწვიათი, ვიდრე მარტო პატივისცემა. ეს გრძნობა არ მარწყმებს და ვეუბნები, რომ ბრძოლაში მოხუცებულს, მაგრამ ბრძოლის სულით ახალგაზრდას, არ შეშვების გარეთ ყოფნა, მით უფრო, როცა თითონვე ხელს იღებს გარეთის იმედებზე... როცა ხალხს ეუბნები,—არავინ არ მოგვი,

არ გაგანთავისუფლებს, შენი განთავისუფლება შენივე საქმეაო, მაშინ უნდა იცოდე, რომ ისტორია არ გაპატივებს, წაგიშლის, რაც გიკეთებია ბრძოლაში მოხუცებამდის, თუ რაღაც „საეჭვო კომბინაციების“ ხელსაყრელ საერთაშორისო პირობების მოლოდინში ხალხი უფსკრულისაკენ გადაეშვა.

ამ გრძნობით მივმართე მე ნოეს.—დაბრუნდი, იმუშავე არსებული წესწყობილების წინადაგზე თქო და ის მიპასუხებს შოთა რუსთაველის სიტყვებით:

—„უმზავსი საქმე ყოველი მოკლეა მით ოხერია;

რა უთქვას, რა მოუჩინავს, რა წიგნი მოუწერია“;

ეს სიტყვა რუსთაველის ავთანდილმა, როცა წაიკითხა ფატმანის წერილი.

მაგრამ მაშინვე ჩაფიქრდა და...

—„მერმე იტყვის, შენგან კიდე ჩემი შემწე არვინა;

რასათვისცა გამოვჭრილვარ, მისი ძებნა რადგან მინა,

რათაცა ვით ვბოვებ, მას ვიქმ, გულმან სხვამცა რა ისმინა“.

...—მივჭყვე მიამბობს ყველასაო,—გაივლო გულში და გაუგზავნა პასუხათ:

—„მოგწერა, წავიკითხე შენი წიგნი ჩემი ქება,

შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება.

შენცა ვინდა, მეცა მინდა გაუწყვეტლათ შენი ხლება,

შეყრა არის პირიანი, ორთავეა რადგან ნება“.

ავთანდილმა მოისმინა „ამბის გმობა ფატმანისგან“, წავიდა იმ გზით და... იპოვნა, რასაც ეძებდა.

მე ვისურვებ, რომ ჩემ „უმზავსო“ და „მოჩინაშულ“ წერილებს ჩაეფიქრებინოს ნ. ჟორდანიას... იქნება უფრო დაკვირვებით ჩაიხედლოს თანამედროვე საერთაშორისო პირობებში, საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში და იპოვნოს უტყუარი გზა იმ „საქაჯეთისკენ“, სადაც იმყოფება მშვენიერი ნესტან დარეჯანი, ეს უკვდავი სიმბოლო საქართველოს აღორძინების.

ს. დევდარიანი,

ახალგაზრდა მარქსისტების ცეკას უ. წევრთა მოწოდება.

დღეს ჩვენს ჟურნალში იბეჭდება ახალგაზრდა მარქსისტების ცეკას ყოფილ წევრთა ერთი ჯგუფის მიმართულებით ახალგაზრდობისადმი.

იქ ისინი ხელალებით უარყოფენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის გზას და ახალგაზრდა ამხანაგებს არალეგალურ ორგანიზაციების ლიკვიდაციის და მუშათა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდებენ.

ჩვენ გვახსოვს ამავე ჯგუფის პირველი დეკლარაციული გამოცემა, სადაც ისინი დაახლოებით ამავე შეხედულებით და წინადადებით გამოდიოდნენ.

ქართველი ახალგაზრდობის ისტორიაში ამას თავისი მნიშვნელობა ექნება. სოციალ-დემოკრატიის ადრინდელ ძლიერებით და დიდი ისტორიული წარსულით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მარქსისტულ ახალგაზრდობის ორგანიზაციებს ფართე ნიადაგი ჰქონდა ჩვენ ქვეყანაში და ახალთაობის დიდ ნაწილს იკრებდა თავის გარშემო.

მაგრამ თანამედროვე პირობებში, როცა უკვე ფეხი შევდგით გარდამავალ ხანაში და ძველს და ახლ სამყაროს შორის სამკვიდრო სასიცოცხლო ბრძოლა სწრაფობს, დღეს როცა იმპერიალისტურ ომის შემდეგ ბუნებით ანარქიული კაპიტალისტური საზოგადოება უძლურია ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩაყენოს და შინაგან წინააღმდეგობით სულშეხუთული კვლავ ცეცხლით და მახვილით ლაშობს კრიზისიდან თავის დაღწევას, როცა ის კვლავ ახალ ომებისათვის, სისხლის ღვრისთვის ემზადდება, ასეთ დროს, ახალ გაზრდობის, ქეშმარიტ რევოლუციურ ახელგაზრდობის როლი განსაკუთრებული და დიდმნიშვნელოვანია.

ახალგაზრდობის მხრებზე გადადიოდა, ახალგაზრდობის მკლავების, თავგანწირული ბრძოლის მეოხებით ისხამდა ხორცს ყოველთვის და ყოველგან კაცობრიობის იდეალები. რევოლუციონერ კლასის წრიდან, თავისუფლებისათვის მებრძოლთა წიაღიდან გამოსული ახალგაზრდობა მუდამ პირველ რიგში იდგა, მუდამ წინ მიიღებდა უსამართლობის დასათურგნავად.

ასეთია დღესაც ყველა ქეშმარიტ რევოლუციონერის, პროლეტარულ ინტერესების და რაჯთ მდგომ ახალგაზრდის მოვალეობაც. ისტორია აქაც მეორდება, პროლეტარული რევოლუციის, მუშათა დიქტატურის განმტკიცების და წინსვლელობის საქმეში, თანამედროვე ახალგაზრდობას დიდი ადგილი უჭირავს.

ახალგაზრდობის მთელი საციცოცხლო ძალები დღეს რევოლუციის ფერხულშია ჩამბული. საბოლოოთ გაჰქარა რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობის წრეებში ესერულ-მენშევიკური სულისკვეთება.

ობორტუნისტულ სოციალიზმს დღეს ყველაზე ნაკლები გასავალი აქვს თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდობაში.

კომპარტია, როგორც მომავლის პარტია, ახალთაობას განსაკუთრებით, მეტი მოწოდებით ეყვრობა.

და რამდენად დასაშვებია, გასამართლებელი

იქნებოდა ამის შემდეგ ქართველ ახალგაზრდობის რევოლუციის გარეშე დგომა.

ყველაზე ნაკლები—ახალგაზრდას ევატივება დღეს ჩვენში მენშევიკურ ოცობლითი ვატიცება, ყველაზე მეტად მას მოეთხოვება მომავალში პასუხი, რომ დამარცხდეს საბჭოთა ხელისუფლება.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი და გასავლება მარქსისტთა ცეკას ყოფილ წევრების დღევანდელი მოწოდება. ვინც ობექტიური, პარტიული ფანატიზმის და ჟინიანობის გარეშე მიუდგება შექმნილ მდგომარეობას და ასწონდასწონის მას, მისთვის, გარდა ამ მოწოდებაში ნაჩვენებ გზისა, სხვა გამოსავალი არ აღმოჩნდება.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაციას, მის დაშლას თან უნდა მიჰყოლოდა ამ პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციის დაშლა და ლიკვიდაცია. 28 ოქტომბრის ახალგაზრდა მარქსისტთა ყრილობამ ეს კიდევ დაადასტურა.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ ამავე გზაზე დგას მარქსისტთა არალეგალურ ცეკას წევრები; რომ ისინიც ორგანიზაციების ლიკვიდაციისაკენ და საბჭოთა თანამშრომლობისაკენ მოუწოდებენ ჯერ-კიდევ გაურკვევლობის ბურუსიდან თავდაუღწეველ ამხანაგებს.

ჩვენ ვისურვებთ, რომ ეს ძაბილი ჩასწოდეს გულში მათ, ვისკენაც არის ის მიმართული ჩვენ ვისურვებთ, რომ არც ერთი შრომის შვილი ახალგაზრდა არ დარჩენილიყოს რევოლუციის ბარიკადებს იქით.

შინაური.

„თავისინადავს“ პარტია

რამდენიმე თვის წინად სეით დევდარიანი სხვათა შორის თავის უქანასკნელ წერილებში სწერდა:

არ დამავიწყდება, როცა იატაკ ქვეშ ვიყავი, ორიოდე ღამის გათევა მომიხდა მუშების უბანში. ერთმა ძველმა მუშამ მითხრა,—მოგყვებით, ცეცხლში გადავადრდებით, მაგრამ, ვაი თქვენი ბრალი, თუ სწორი გზით არ მიგყვართ. იცოდეთ არასოდეს არ გააბატებით.

ასეთი იყო არა მხოლოდ იმ მუშის აზრი, რომელსაც სეითთან ჰქონია საუბარი, ასე ფიქრობდა და ამას გრძნობდა მთელი ის მასა, რომელიც საქართველოს სოც.-დემოკრატიის გაჰყვა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და არალეგალურ ბრძოლის მორევში გადაეშვა.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჩვენში დიდი წარსული ჰქონდა. მის რიგებში არა ერთი და ორი გამოცდილი მებრძოლი რევოლუციონერები მოიპოვებოდნენ. საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებშიაც კი ეს ორგანიზაციულ მუშაობაში ათეულ წლებით დახელოვნებული და გაჩვეული მასა საქართველოს სოც.-დემოკრატიის კვლავ გვერდით ედგა. მაგრამ რაც დრო გადიოდა, ის შორდებოდა მენშევიკურ პარტიას. მისმა უქანასკნელ წლებში საქმემ და სიტყვამ ვერ გაამართლა ამ მასის იმედები, მისი დღევანდელი მოქმედება მოღვაწეობა არ ეხამებოდა ამ პარტიის წარსულს.

სხვა ღირსებასთან ერთად ამ პარტიამ ამ

ხანაგურ სოლიდარობის ელემენტარული შეგნებაც კი დაკარგა. დღეს, იმ სამკვიდრო-სახოცოცხლო ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და, რომელშიც ის ითრებს ქართველ მშრომელ ხალხს, მას არ სურს პარტიამ ერთიანი პასუხისმგებლობა იკისროს. საბჭოთა ძალაუფლების ხელში ჩაგვარდნის დროს—ის ერთნაირთ აღარ ზრუნავს საკუთარ პარტიის წევრების მდებზე. აქ თეთრი და შავი ძეაღის გარჩევა დაიწყო ქართულ ს.-დემოკრატიამ.

მე საშინლად მაკვრებს აი რა, სწერს ს. დევდარიანი უქანასკნელ პასუხში ნ. ჟორდანიას, გუშინწინ ხელში ჩამივიარდა ბერლინის „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი“-ი, იქ ამოვიკითხე: საფრანგეთის სოციალისტურმა კონგრესმა შუამდგომლობა აღძრა ამინსტის შესახებ ხომერკისთვის. ეს იქნებოდა ალბათ საზღვარგარეთის ბიუროს წინადადებათ. საზღვარგარეთის ბიუროს მიუხედავადან წერილები და არ შეიძლება არ იცოდეს, რომ დამწყვედელია არა მარტო ხომერკი, და ხომერკზე უფრო სჭირდებათ ამინსტია სხვებს, არიან ისინი, ვისაც ბრალდება კავშირი ჩოლოყაშვილთან....

ამ პატარა ფაქტში რომელზედაც უნდა ვუთითებ—სარკესავით იხედება მთელი ახლანდელი არსება საქ.-დემ. პარტიისა. ის ხალხს აბაშს ბრძოლაში, ხალხს-კი ბოლომდის გვერდში არ უდგას და მარტო „თავისინადავს“ გადარჩენაზე ფიქრობს.

ჩვენ ეს დიდი ამონაწერი იმითმ მოვიყვანეთ, რომ მას მართლაც მეტად დამახასიათებელი მნიშვნელობა აქვს ქართული სოც.-დემოკრატიისათვის. ათობით და ასობით სხედან დღეს პოლიტიკური პარტიები. მათ არანაკლები სასჯელი მოეღოს საბჭოთა მართლმადიდებლობისაგან, ვიდრე ბევრ იმათგანს, რომელთაც მეტი პასუხი მოეთხოვება ყოველივე ჩადენილისათვის პროლეტარულ ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ საზღვარგარეთის ბიუროს მათი ბედი იმდენად არ აწუხებს. რა უნდა იყოს ათი, ან ასი ჩვეულებრივი პარტიის წევრი არალეგალურ ცეკას წევრთან. ოლონდ ხომერკი გადაარჩეს, ოლონდ მას ნუ მოხედება პროლეტარიატის დამსჯელი ხელი.

ჩვენ ვიცით რამდენი ფასი აქვს საბჭოთა ხელისუფლებისათვის საფრანგეთის კონგრესის შუამდგომლობას. ისიც დავინახეთ რა ნაყოფი გამოიღო ასეთმა ცდამ, მაგრამ საქმე ამაში როდია, უმთავრესი ისაა, რომ მენშევიკური პარტიის ზრუნვის, ჰიროსუფლობის საგნათ შიგნით და საზღვარ-გარეთ მხოლოდ რჩეულები შეიქმნენ.

მხოლოდ „თავისინადავს“ ფიქრობს ეს პარტია ვაკვირების, ტანჯვის დღეს. ქართულ თავდა-აზნაურობასთან კავშირამ—შავი და თეთრი ძვლის გარჩევა ასწავლა მენშევიკურ პარტიას.

ტყუილად კი არ უთქვამს ჩვენს ძველებს: ბარი ხართან დაბადი—ან ზნეს იცვლის ან ქვარსათ.

ფერბს რა მოგახსენოთ, რადგან ქართული სოც.-დემოკრატია ჯერ კიდევ არ იშლის მუშათა პარტიის სახელის ტარებას, მაგრამ ზნე კი ამ პარტიას საგრძნობლათ და, როგორც ეტყობა, საბოლოოთ გამოეცვალა.

ა. შაისურაძე.

ფრიდრიხ ენგელსი.

ამ დღეებში შესრულდა 29 წელი, რაც მე-შათა კლასმა დაკარგა მისი საუკეთესო მეგობარი, მეზაბარდტრე და იდეოლოგი ფრიდრიხ ენგელსი.

ენგელსი იყო კარლ მარქსის განუყოფელი მეგობარი.

მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრების შექმნა-დასაბუთება ამ ორი დიადი პიროვნების ხანგრძლივი და დაუღალავ შრომის ნაყოფია. ვის არ წაუკითხავს „კომუნისტური მანიფესტი“? რომელი მუშაა ისეთი, ვისაც „კომუნისტური მანიფესტი“ არ ედოს მაგიდაზე?.. მუშათა კლასის სახარების „კომუნისტური მანიფესტი“-ს ერთი ავტორთაგანი არის ფრ. ენგელსი.

75 წლის იყო ენგელსი, როცა ის გამოეთხოვა მუშათა კლასს.

მაგრამ მისი შრომა, მისი იდეა მუდამ ცოცხლობს.

მარქსი სწერდა:

— „ბურჟუაზიული რევოლუციები, როგორც იყო მე-18 საუკუნის რევოლუცია, ძალიან ჩქარა მიექანებოდა გამოვლენიდან გამოვლენისკენ, მათში დემოკრატიული ეფექტები.—ერთი მეორეზე უფრო ბრწყინვალე, აღნიშნები და სავნები თითქოს მარგალიტის ცეცხლში არიან გახვეულნი. ყოველი დღე ალტაკები თ სავსეა—მაგრამ ისინი მალე ქრებიან, მალე აღწევენ თავის ზენიტს და საზოგადოებას ხანგრძლივ სიმთვრალის გამოვლა სჭირად, ვიდრე ის შესძლებდეს თავის მდღე-ვარე ლტოლვა—სურვილების პერიოდის შედეგების ფხიზლად შევსებას.

პროლეტარიატის რევოლუციები, როგორც არის მე-19 საუკუნის რევოლუცია, პირიქით, მუდამ აკრიტიკებს თავის თავს, ხშირად ჩერდება, გზა და გზა დაუბრუნდება უკვე ნამოქმედარს, რათა ერთხელ კიდევ ხელახლა შეუდგეს. მკაცრად საუფრთხოა და სინდონიან ნახევრიანობის (половинчатость) თავის პირველ ცდების უარყოფით მხარეებსა და უფარგისობას, აგდებენ მიწაზე თავის მტერს თითქოს იმისთვის, რათა მან მიწასთან შეხებისაგან შეიკრიბოს ახალი ძალები და ხალახლა ადგეს ფეხზე უწინდელზე უფრო ძლიერი; სულ იხვევენ და იხვევენ უკან თავის საკუთარ მიხენების განუსაზღვრელ სიდიდის წინაშე—სანამ არ შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომელიც ახშობს ყოველივე გზას უკან დახევისკენ, სანამ თვით გარემოებანი არ დაიყვირებენ:

„Hic Rhodus, hic salta!“

დღეს, 29 წლის თავზე ჩვენ თამამად შეგვიძლია ჩაგძახოთ საფლავებში მარქსს და ენგელსს, რომ მათ მიერ დასახულმა გზამ უკვე გაიმარჯვა დედამიწის ერთ მიექსედ ნაწილზე და შორს არაა ის წამი, როცა შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომელიც ახშობს ყოველივე გზას უკან დახევისკენ“ მთელი მსოფლიო მასშტაბით. და პროლეტარიატი ბრძოლის წითელ დროშას თამამად ააფრთხილებს მსოფლიო სოციალური რევოლუციის პროცესში.

ა. რ.

ქ. გორის უ. მანუაშვილის და გვარდიელების პრეზ.

მენშევიკურ პარტიის უკანასკნელ ხნის მოქმედებამ ყოველივე მოლოდინს გადააქარბა. ნ. ჟორდანის წერილებმა და საზღვარ-გარეთ ცალკე გამოცემულმა ბროშურებმა, რომელთა შინაარსსაც ყოველდღიურ პრესის საშუალებით გაეცნობოდა აქაური ამხანაგები, დიდი მოთქმა-მოთქმა და გაუგებრობა გამოიწვია. ვისაც ახსოვს ჟორდანის გამოსვლები სხვა და სხვა კრებებზე, განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის დღეებში, როცა ლენინგრადის პროლეტარიატს კერესკი გატყინოდან იარაღით უტრედა, მას ვერ წარმოუდგენია ჟორდანიაში ასეთი ცვლილება და გადასხვაფერება, როგორათაც ის მოსჩანს ესლა თავის წერილებიდან.

მაშინ ჟორდანია სასტიკი წინააღმდეგი იყო ბოლშევიკებთან იარაღით ხელში შებრძოლების, მაშინ მას ეს რევოლუციის წინაშე მიუტევებელ დანაშაულათ მიაჩნდა. ამ აზრს ის განუწყვეტილ იმეორებდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ წლებში, როცა საბჭოთა ხელისუფლება დღით-დღე მტკიცდებოდა და მაგრდებოდა.

ასეთი იყო ჟორდანის პოზიცია, სიტყვით მაინც, რუსეთში ბოლშევიკურ ძალაუფლების დამყარების დღეებიდან საქართველოს გასაბჭოებამდე.

მაგრამ მას შემდეგ გამოიკვია, რომ ჟორდანის განცხადებები მხოლოდ კალიგერის სიტყვები ყოფილა, რომ სინამდვილეში, როცა ჟორდანია კრებებზე ასეთ განცხადებებს აკეთებდა, დემოკრატიულ მთავრობის სამხედრო სამინისტრო დენიკინ-ვრანგელის ჯარს იარაღს და სათბობ მასალას აწვდიდა აქედან.

არსებითად ეს იგივე აირაღით გალაშქრება იყო საბჭოთა ძალა-უფლების წინააღმდეგ, რასაც ნ. ჟორდანია თითქოს ასე ეწინააღმდეგებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სამ წელიწად ნახევარმა გავლო. ემიგრაციაში მყოფ ქართველ მენშევიკებს მოთმინების ფიალა აეფსოთ. აღარ დაეცა საბჭოთა ხელისუფლება, აღარ ახდა მათი წინასწარმეტყველება პროლეტარულ სახელმწიფოს დამარცხების შესახებ.

და აი, ესლა ისინი შეუდგნენ გეგმების თხზვას შინაურ აჯანყების მოსაწყობათ. აქ გასაკვირი თითქოს არაფერია, ეს ლოლიკური დასკვნა, გავრძელება იმ პოლიტიკის, რომელსაც სინამდვილეში აწარმოებდა ქართული სოციალ-დემოკრატია, მაგრამ რასაც იგი სიტყვით არასოდეს არ ცნობდა, ხმაბალა არ ლაპარაკობდა, რადგან იცოდა რომ ამაზე აშკარა ლაპარაკი, მას მშრომელი ხალხის თვალისხეას დაატყდა თავს.

და აი დღესაც, ის რასაც სწერს ნ. ჟორდანია საზღვარ-გარეთ, რაც იყო ნათქვამი ჩხიკვიშვილთან აღმოჩენილ სადირექტივო წერილში, არაღებურ ცეკას აგენტებს სურთ სხვის მოგონილ ჭორათ გაასაღონ, თავი განითავისუფლონ იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელსაც მას აკისრებს სხვასთან ერთად მისი ლიდერის უკანასკნელი წერილებიც.

ამ კითხვის გარშემო იყო მოწყვეული ქ. გორის ნ. აგვისტოს ყოფილ მუშა-მენშევიკების, გვარდიელების და მოქალაქეთა საზოგადო კრება. პრეზიდენტში ერთხმად არჩეულ იქნა: აშხ. ა. სიმეაშვილი, პ. ეფრემიძე და ნ. ქერეკაშვილი.

სამი საათის განმავლობაში მრავალ-რიცხოვანი კრება, რემელიც ქალაქის კლუბის ბოლოში გაიმართა, სულვანაბული უსმენდა თბილიდან ჩამოსულ ამხანაგებს: ს. ფარნიევს და ა. ჭყონიას.

აშხ. ფარნიევი იშვიათი მქერმეტყველობით, ჟორდანისა, გრ. ლორთქიფანიძის და დედანიანის წერილებით ხელში ამტკიცებდა თურამ მიიყვანა საქართველოს სოც.—დემოკრატია დღევანდელ მდგომარეობამდე, რისგან არის გამოწვეული მისი შეუჩერებელი რღვევა და რატომ მოხდა, რომ მისი ლიდერი, ნ. ჟორდანია, დღეს ასე აშკარად დადგა საბჭოთა ხელისუფლებასთან იარაღით ბრძოლის გზაზე.

აშხ. ფარნიევი თავის წარსულ მუშაობიდან და გორის მახრის მენშევიკურ ხელისუფლების პრაქტიკიდანაც იგონებს სხვა და სხვა დამახასიათებელ მომენტებს, რომლებიც მოწმობს, რამდენად არასოციალისტური იყო ქართული სოც-დემოკრატის პოლიტიკა სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

აშხ. ფარნიევთან ერთად მოხსენება გააკეთა აშხ. ა. ჭყონიამ, რომელიც თავის სიტყვაში მენშევიკურ პარტიის ეროვნულ პოლიტიკას შეეხო და განმარტა, თუ რატომ მოხდა, რომ ქართველი მენშევიკები დღეს შოვინიზმის ქაობში გადაიქრნენ.

მოხსენებების შემდეგ ილაპარაკა ძველმა ტერორისტმა ისაკა ლელაშვილმა.

დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

ქ. გორის ყოფილ მენშევიკ, გვარდიელების და უბარტო მოქალაქეთა საზოგადო კრებამ აშხ. აშხ. ს. ფარნიევის და ა. ჭყონიას მოხსენებების შემდეგ, რომლებიც შეეხებოდა ნ. ჟორდანის მიერ საზღვარგარეთ გამოცემულ სხვადა სხვა ბროშურებზე, დაადგინა: არსებულ პირობებში, როცა ერთი მხრივ ჩვენ მეზობლათ არის ნახევრად ფეოდალური ოსმალეთი და მისთან ერთად დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები და მეორე მხრივ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ქართველი მშრომელი ხალხის არჩევანი ბუნებრივად ჩრდილოეთისკენ გადაიხარა. ეს არის მისი რევოლუციონური აღმშენებლობის და განვითარების გზა უკანასკნელ საუკუნოებში.

ჩვენი ქვეყნის კულტურულ ეკონომიური და ნაციონალური უზრუნველყოფა თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოთა ბატონობის დროს, ყველაზე უფრო დაკული იქნება საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირში, სადაც საძირკველი ეყრება ახალ ცხოვრებას, სოციალისტურ საზოგადოების აღმშენებლობას.

მას შემდეგ რაც საქართველოში მუშათა და გლეხთა ხელისუფლება არსებობს, ქართველ

მშრომელ ხალხმა დაისვენა გარეშე ფრონტზე ბრძოლისაგან, შინაურ ანარქიისგან და, რაც უმთავრესია ამიერ-კავკასიისათვის, ეროვნულ ხოცვა-კლვისგან.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-ეკონომიური სიმტკიცე დღითიდღე მიდის წინ. ეხლა იარაღის ხელში აღება, შებრძოლება ამ ხელისუფლებასთან, შეუძლია მხოლოდ ხალხის მტერსა და ორგულს, რომელიც დაინტერესებულია თავად-ახუნურობის და ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენაში.

ნურაინ მოუწოდებს ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად, ნურაინ ფიქრობს მის უაზრო ბრძოლაში ჩაბრუნვას და ძმთა სისხლი შეღებვას.

ქართველი მშრომელი ხალხი დღეს საესეებით საკუთარ ხელისუფლებასთან, საბჭოთა სისტემის მაროვა-გამეგობასთან არის და დარჩება განუყრელად.

ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხს-კარგათ ესმის, რომ ის აჯანყების ჯოჯობითი ვეგმა, რომელსაც ხელს აწერს მემწევიკურ პარტიის საზღვარ-გარეთელი ბიურო კორდანიას ხელმძღვანელობით, მარტო მათი შემოქმედება არ არის, არამედ მენშევიკურ პარტიის ვითომდა სოციალისტურ საფარს უკან დგას მთელი ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლუციონური ბროვა დაზნაკელ-მუსავატისტების ხელმძღვანელობით. მაგრამ საზღვარ-გარეთელ და შინაურ ამიერ-კავკასიის რეაქციის მთლიან ფრონტს, წინ დაუხედება ასევე მთლიანი რევოლუციონური ფრონტი, რომელთან ბრძოლაშიც, ის საბოლოო მოიტებს კისერს.

ჩვენ ერთხელ კიდევ მოუწოდებთ ნებით თუ უნებლიეთ გზაბნეულ, ავანტიურის ქსელში მოყოლილ თითო-ორილა პირებს, რომლებიც არ იშლიან მშრომელი ხალხის საზარალო მოქმედებას, შეჩერდნენ, ჩაუფიქრდნენ რას სჩადიან და. სანამ კიდევ დროა, დაუბრუნდენ მუშათა მთლიან ოჯახს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩვენგან დრმა. გულისწყრომის და ზიზლის მეტს ვერაფერს დაიმსახურებენ. მშრომელი ხალხის რისხვა კი მთელი თავის საწინელებით დაატყდებათ მთ თავზე.

ვ. ა—ძე.

მ ე რ ე ლ ე ბ ა

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების არალეგალურად მომუშავე და ციხეებში მყოფ წევრებს.

ამხანაგებო!

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა არსებითად მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ-მაგრამ გველილ სამი წლის ბრძოლის პრაქტიკა, ჩვენი აზრით, საესეებით საკმაოა იმისათვის, რომ მივიხედოთ უკან, კრიტიკის თვალთ ავსწონ-დავსწონოთ განვლილი პერიოდი და სათანადო საქმიანი დასკვნები გავაკეთოთ, და თუ საღის გონებით და რევოლუციონური თვალსაზრისით მოისურვებთ, ამხანაგებო, ასწონ დასწონოთ ლეგანდელი სინამდვილე, — მაშინ თქვენს საესეებით გაიზიარებთ იმ დასკვნებს, რომელთაც შეიცავს უკვე გამოქვეყნებული ჩვენი განცხადება (იხ. „კომ.“ № 93) და წინ მდებარე მომართავაც.

მართლაც, უკანასკნელ წლების განმავლობაში საერთაშორისო და ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ალაგი ჰქონდა ბევრს ისეთ მოვლენას, რომელებმაც ჩვენს წინაშე ახალის ასპექტით დააყენა მეცნიერულ სოციალიზმისა და სხვა სოციალურ-ეკონომიურ ხასიათის პრობლემები, მაგრამ თავიდანვე ჩვენი ორგანიზაცია, როგორც უმთავრესად კულტურული ორგანიზაცია, უშუალოდ არ განიცდიდა აღნიშნულ კითხვების დრმა გაშუქების საჭიროებას. დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის მომენტმა, ჩვენში ახალი წესწვობილების დაწყებამ და შემდეგმა პერიოდმა ჩვენი ორგანიზაცია აიძულა იღვივებულიყო მიექცია დასახელებულ კითხვებისათვის. ის ასეც მოიქცა და აქ მან ადვილად გასაგებ მიზეზების გამო საესეებით მიიღო პოლიტიკური ხაზი, ტაქტიკა საქსოც.დ. მუშათა პარტიისა, რომლის საერთო იდეოლოგიურ გავლენის ქვეშაც ორგანიზაცია თავიდანვე იმყოფებოდა. პარტიასთან ერთად ორგანიზაცია ჩაება ხელისუფლების საწინააღმდეგო პოლიტიკურ არალეგალურ მუშაობაში. რაც ლოლიკურის აუცილებლობით გამოძინარებოდა დასახელებულ, ობიექტიურად შემცდარ ტაქტიკის რეალიზაციიდან.

ჩვენს დეკლარატიულ განცხადებაში ჩვენ აღნიშნით ამ მხრივ ყველა დამახასიათებელი კითხვები მდგომარეობის სრულის სერიოზულობით და ობიექტურად განხილვის შემდეგ გავაკეთეთ სათანადო დასკვნები ჩვენი ორგანიზაციის პოლიტიკური ხაზისა და მისი ორგანიზაციული სახეობის შესახებ. აქ ზედმეტად მიგვაჩინა გავიმეოროთ ყველაფერი ის, რაც დასახელებულ განცხადებაში აღნიშნით ხაზგასმით. მოვიყვანთ მხოლოდ დასკვნას, რომ როგორც საერთაშორისო რევოლუციონურ-კლასობრივ, ისე ადგილობრივ ეროვნულ თვალსაზრისით არალეგალური პოლიტიკური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩვენ დამლუპველად მიგვაჩინა ქართველი ხალხის, მისი მუშათა კლასის, მისი მშრომელი ახალგაზრდობის მომავლისათვის, რადგანაც ამ ბრძოლის პროცესში საქართველო შეიძლება გადაიქცეს მსოფლიო რეაქციის დასაყრდნობ წერტილად. და არალეგალური ბრძოლის ტაქტიკაც სწორედ ამას უწყობს ხელს.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია საბოლოოთ და აბსოლუტურ ამომწურავად გადასქრას ჩვენი სინამდვილის ყველა საჭირობოტო სოციალურ-ეკონომიური პრობლემები მიმდინარე ტკივილებით აღსავსე გარდამავალ პერიოდში, როდესაც იწყება კაპიტალიზმის ვარდაქმნა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის და ხელისუფლების რევოლუციონურად დაპყრობის გზით და შენდება კოლექტივისტურად მოწესრიგებული სახალხო მეურნეობა. ჩვენ ვფიქრობთ, რ მ ამ კითხვების საბოლოოთ გადაჭრა შეუძლებელიცაა მანამდე, სანამ არსებობს კაპიტალიზმი, სანამ სოციალურ ვარდაქმნის გრი აღს საბოლოოთ არ დაუმსხვრევია კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა სისტემა საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ ჩვენ ვადაქრით ვალიარებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება საესეებით ცდილობს მოგვეცეს ეხლავე მაქსიმუმი ენერჯისა ბრძოლაში კაპიტალისტურ

ბოროტების აღმოსაფხვრელად, თანისტურ რეაქციის დასახლეოთ, ეროვნულ უთანასწორობათა მოსაპობათ და ამით ჰკაფუფეს ვზას დასახელებულ კითხვების საბოლოოთ და სამარტლიან გადაჭრისათვის.

მაშასადამე არალეგალური ორგანიზაციის სრული ლეგალიცია, თანამშრომლობა და მთლიანი ფრონტი საბჭოთა სისტემასთან და არა დაპირდაპირების ხაზი და არალეგალური ბრძოლა მის წინააღმდეგ, — ი, ლოზუნგები, რომელებითაც, ჩვენის აზრით, უნდა იხელმძღვანელოს ჩვენმა ახალგაზრდობამ მომავალში. ჩვენ გვწამს რომ საბჭოთა ხელისუფლება შორსსა ყოფილ მოწინააღმდეგეთა მიმართ ანგარიშების გასწორების პოლიტიკიდან და სინარულით მიიღებს თავის რიგებში ყველას, ვინც გულწრფელად მოისურვებს იბრძოლოს მშრომელი ხალხის საქმისთვის.

აი, სწორედ ამ მოსაზრებით გადავდგით ჩვენ ჩვენი ნაბიჯი და ამავდ მოსაზრებით ჩვენ, როგორც ახ. მარქს. ორგ.ის ცენ. კომიტეტის წევრებს, თავის მოვალეობათ მიგვაჩინა — მოვიწოდოთ თქვენ, ამხანაგებო, ჩვენთან ერთად უარყოთ ძველი პოლიტიკურ-ტაქტიკური ხაზი, დასტოვით არალეგალური პოლიტიკური მუშაობა ხელისუფლების წინააღმდეგ და საბჭოთა პლატფორმისა და პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე დადგომით მთელის თქვენის ენერჯით იბრძოლოთ მუშათა კლასის დიადი მიზნების განხორციელებისათვის თვითყულმა იმ დარგში და იმ ფორმით, რომელიც მას უფრო შეეფერება.

სხვა გზა დღევანდელ სინამდვილის ობიექტურ შეფასების პირობებში დამლუპველია ქართველი მშრომელი ხალხისათვის, ქართველი ახალგაზრდობისათვის.

საქ. ახ. მარქს. ორგ.ის ც. კ.ის ყოფ. წევრები: **დ. ყიასაშვილი, მ. ჩაჩუა, ალ. კალანდაძე, ვ. ნუცუბიძე და ელიბერიძე.**

ბ ა ზ რ ო ბ ი ს დ ლ ე ა ბ ი ქ. ხ ა შ უ რ შ ი

საეპრო დღებში ქ. ხაშურს დიდ-ძალი ხალხი აწეება ყველა კუთხიდან. ბაზრობის არსებობიდან მესამე წელია, ამ სამი წლის განმავლობაში აღებმიცემობა წესიერთა მიმდინარეობდა, რათქმა რნდა საქონლის გაცვლა გამოცვლის სახით, მაგრამ სამწუხაროთ წესრიგი უკვე წელს-დარღვეულია. დარღვეულია იმიტომ, რომ აქ შემოვისა ოსმალეთში დამშეული რაიონების ჩარბ-ვაჭრები, — მავალითა: ყარსის, კავიზანის, ოლთის და სხვა ადგილებიდან. იმ დროს, როდესაც ჩვენში პურის დიდი რაიონები დამშეულია, როგორც მოხისი, ფცა, ქვენატკიცია, გმო, არადეთი და სხვა სოფლები, ვანა ჩვენგან ქირანახულის საძღვარ-გარეთ ვატანა უნდა ხდებოდეს?

ყოველ პარასკეობით და კვირაობით იტვირთება ასობით და მეგრჯერ მეტი ურმებიც და მიემგზავრება ზემოაღნიშნულ ადგილები-სკენ. თქვენ აქ შეხედებით ჩარბ-საწყულოანტებს, თვითველი ყიღულოპს ათას ფუთამდინ, პურს, სიმინდს და ქერს. ზოგჯერ მეტსაც მიზეხად ამბობენ ჯავახეთი დამშეულია და მათთვის ვყიდულობთო, მაგრამ ჩვენ ვიცით სარწმუნო წყარობიდან, რომ ჯავახეთში მო

სავალი ბევრს ადგილებზე საშვალოდ უკეთესია წესს; ყველა ამის შემდეგ გლუხი, გვახელი იქნება თუ ქართული, არავითარ შემთხვევაში ორას და სამას ლუთს ქირნახულს არ იყიდის, როდესაც მოსავალი მას კარებზე უკაკუნებს, მაგრამ მადა გლვიძებულ ჩარჩა-პარაზიტებს დღეს კიდევ შესწევთ ვამბედაობა და ასეთ თავხედობას სჩადიან. მათი ასეთი საქმიანობა ადგილობრივ მცხოვრებთა უმეტესობა მუშა-რკინისგზელები რჩებიან უკიდურეს მდგომარეობაში, ვინაიდან, ვიმეორებ, ჩარჩა-საკეულიანტები ქირნახულის 70% და მეტს ყიდულობენ და ფასებს ბელოვნურად ზრდიან.

ყოველივე ამის შემდეგ ხაშურში მომხდარ გაუფრთხობის გამოსაკვევით საქორა ცენტრალური ხელისუფლების აზრი და ახსნა განმარტება.

პეტრე ბიძია.

წითელ ჯარში

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დემოკრატიული საქართველოს გვარდის დაშლის შემდეგ შეიქმნა წითელი ჯარი, რომელიც თავისი სტრუქტურითა და დანიშნულებით არსებითად განსხვავდება იმ ჯარებისაგან, რომელთაც მუსავატელების ბატონობის დროს ადგილებიდან, ხოლო დაშნაკელების დროს სომხეთში და მენშევიკების დროს საქართველოში ჰქონდა ადგილი

სამხედრო კომუნისმის ეპოქაში წარმოშობილი წითელი გვარდია, რომელიც საფუძვლად დაედო წითელ ჯარს, 7 წლის განმავლობაში მტკიცედ სდგას რევოლუციონურ მონაპოვარის სადარაჯოზე.

ჯარი ყოველთვის კლასიური ინტერესების დამცველია. საფრანეთის მცირე რიცხოვანმა, მაგრამ რევოლუციონურად კარგად გაწვრთნილმა ჯარმა დაამარცხა რეაქციონური ევროპის მრავალ რიცხოვანი, მაგრამ ცუდად გაწვრთნილი ჯარი.

რას ამტკიცებს ეს უტყუარი ისტორიული ფაქტი თუ არა იმას, რომ გადაწყვეტი ბრძოლის დროს გამარჯვებული ყოველთვის გამოდის იმ ჯარის ნაწილები, რომელშიაც თავის მოვალეობის შეგნებას მეტი ადგილი აქვს.

როგორ არის ამის დამახინჯებით აღზრდილობითი მხარე ჩვენ ჯარში?

თუ თვალს გადავავლებთ ამ 3 წლის განმავლობაში თვალსაჩინო მიღწევებს წითელ ჯარში, დაერწმუნდებით, რომ ამ დარგში ბევრი რამ არის გაკეთებული. გასული წლის გაწვევის დროს აღმოჩნდა ბევრი წერა-კითხვის უცოდინარი, რომლებმაც თავიანთ სამხედრო ბეგარის მოხდასთან ერთად შეისწავლეს წერა-კითხვა სალიკვიდაყო სკოლების დაარსებით და რამდენიმედ მომზადებული დაუბრუნდნენ თავიანთ—სოფლებს.

წითელ ჯარში გაცხოველებული კულტურული მუშაობა სამკითხველოებისა, კლუბებისა და პოლიტხელების შემწეობით ნიადაგს უსპობს იმ დრო მოქმედ რელიგიოზურ ცრუ მორწმუნეობას, რომელსაც ადგილი აქვს ჯერ კიდევ ახალგაზრდა გლეხკაცობის აზროვნებაში.

ანტი-რელიგიოზურ „კარნავალებზე“, რომელსაც ხანგამოშვებით აწყობენ სხვა და სხვა ლეგიონებში, დიდის ალტაცებით ეგებებიან

ახალწვეული წითელი არმიელებიც კი, რაიც თავის მხრივ იმის დამამტკიცებელია, რომ ჩვენი მომავალი თაობა შეგნებულად სდგას თავიანთ მიზნებს მონაპოვარის სადარაჯოზე.

ძველი მეთაურების დამოკიდებულება წითელ არმიელებთან ამხანაგურია. რაიც შედეგია ნაწილებში სამხედრო კომისრების ენერგიული მუშაობის. 6000 ქართველი ოფიცრობისაგან დღეს წითელ ჯარში მუშაობს 30% პოლიტიკურად სიმედო პირები.

პოლიტ მომუშავეების ნაკოვანება წითელ ჯარში, როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიდაც, ძლიერ დიდია. საამისოდ იქმნება და დღესაც შექმნილია თითქმის ყველა ნაციონალურ ნაწილებში სამხედრო პოლიტიკური სკოლები, სადაც სპეციალურად უნდა აღიზარდოს პოლიტმომუშავენი.

შ. სიხარულიძე.

გაერთიანებული ზეიმი.

ამ დღეებში სურამში მყოფ წითელ არმიის ყველა ნაციონალური ნაწილების მიერ ხაშურის დეპოს მუშებთან ერთად გაიმართა გაერთიანებული ზეიმი საურთიეროთი კავშირის გასაფართოებლად. ზეიმი დაიწყო დღის 12 საათიდან—გაშლილ მიდამოზე, სადაც რიგში ჩამწყობილებული კურსანტები და წითელ არმიელები დიდის ზეიმით ურას და ვაშას ძახილით შეხედენ ხაშურის დეპოს მუშების ჩამოსვლას. ზეიმში წითელ არმიელებსა და მუშებს გარდა მონაწილეობას იღებდა გლეხებიც, რომლებიც გამოსულნი იყვნენ თავიანთ პატარა ბავშვებითაც კი.

მუშათა წერილები

ქ. თელავის პროფკავშირების ცხოვრება

29 ივლისს, ქ. თელავში მოწვეულ იქნა მეტყვეება და მელითონეთა კავშირის წევრების კრება.

კავშირის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს კავშირის მდივანი აშხ. ე. ნიკოლაიშვილი. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, წინა დროის თითქმის დაშლილი ყოფილა, ერთი სიტყვით კავშირში არავითარი კულტურული მუშაობა არ წარმოებულა და არც ფინანსიური მდგომარეობა იყო კარგა. ადგილობრივი დაშლილი ყოფილა, რადგან ზოგიერთ ადგილკომის წევრს კერძო წარმოება დაუწყია. ახმ. ე. ნიკოლაიშვილი პირველი აპრილიდან შესდგომია მუშაობას და დღემდის რაც ძალი და ღონე ქონდა, ენერგიულად უმუშავებდა.

კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა აშხ. ნიკოლაიშვილს და უსურვა მომავალში ნაყოფიერი მუშაობა. მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს იგივე აშხ. ნიკოლაიშვილი. ქ. თელავში არსებობდა „სამი არტელის“ სახელწოდებით მეჩქმეთა ქარხანა, მაგრამ ეს არტელეები არაფრით არ განიჩყოდნენ კერძო ხაზეებისაგან. ამისათვის კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ ხსენებული არტელეები დაექვემდებაროს კავშირს და მათ კავშირმა კანტროლი გაუწიოს.

და ბოლოს არჩეულ იქნა ადგილობრივი შემ-

ჯემს დავსწრო აშხ. ს. ორჯონიკიძე, პუგაჩოვი და ზაკარაიკომიდან აშხ. მისინიკოვი, რომლებმაც მიიღო იმ დღინდელი ალუმბი. საზეიმო მიტინგზე მისასალმებელი სიტყვა წარმოიტკვა აშხ. ორჯონიკიძემ, რომლის გამოსვლასაც მიტინგი დიდის ალტაცებით შეხვდა, მან ხაზი გაუსვა წითელი ჯარის იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც დაკავშირებულია მის აწინდელ საქმიანობასთან, შეჩერდა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების არმიანზე და აღნიშნა ის მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ამ არმიებში: შემდეგ აშხ. ორჯონიკიძე შეეხო იმ კავშირის მნიშვნელობას, რომელიც უნდა დამყარებულ იქმნას მუშებს, გლეხებსა და წითელ არმიელებს შორის.

შემდეგ ილაპარაკა აშხ. მისინიკოვი ზაკარაიკომის სახელით, რომელმაც თავისი სიტყვა დაათავა შემდეგი მოწოდებით: „ძირს ნაციონალური შუღლი და შეუფუებლობა, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ კავშირს“.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს გაერთიანებული სკოლის სხვა და სხვა ნაციონალურ ნაწილებიდან კურსანტებმა. ამასთანავე ილაპარაკეს მუშების წარმომადგენლებმა—ხაშურის დეპოდან და გლეხების წარმომადგენლებმაც.

მიტინგის დათავების შემდეგ გაიმართა ოლიმპიადა, სადაც ნაჩვენები იყო სხვადასხვაგვარი სურათები: თავისუფალი ვარჯიში, ტურნიკი, ცხენებით შეჯიბრება. და სხვ.

შან—სი.

დგვი პირებისაგან: 1) ე. ნიკოლაიშვილი, 2) ი. ქვანაშვილი, 3) ვ. დავილოვი, 4) გ. ჯიჯიშვილი, 5) ე. არჯევანიძე. მათი კანდიდატები: 1) ა. სუქიასოვი, 2) გ. ხელაშვილი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: 1) ა. ზურაბოვი და 2) გ. ხელაშვილი.

მუშკორი განჯული მუშა.

წუ თუ მოუხარხებელი!

(ტრამევის დირექციის საყურადღებოდ)

როცა ტუსალების ნახვის დღეა, მეტადრე კვირაობით, პირველ გამასწორებელ სახლს, რომელიც ორთაქალაშია, აუარებელი ხალხი აწყდება. ორთაქალაში დიდის მხოლოდ ორი რონოდა და ეს კი არ ჰყოფნის მგზავრებს. პირად უსიამოვნებას და გასაქირს რომ თავი დაგანებოთ, ხშირად ხდება აყალ-მყალი რომოდებში ადგლის უქონლობის ნიადაგზე. მე მგონია ჩვენი ტრამევი არც ისე ღარიბია, რომ არ შეეძლოს ამ ხაზზე რონოდების საკმაოდ მომატება. გარდა ამისა, დილით, როცა კიდევ კარგად არ არის ტრამევის სრული და წესიერი მოძრაობა, ხშირად ზოგიერთ მარშრუტის რონოდებს აჩერებენ და ელოდებიან სხვებს; ამის გამო მოსამსახურებებს უხდებათ დაგვიანება სამსახურში, სასურველია და აუცილებელი ყველა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ტრამევის დირექციის მიერ.

ორთაქალაში უნდა მოძრაობდეს მეტი რონოდები და მარშრუტის გაჩერება არ ხდებოდეს დილაობით, ცხრა საათის შესრულებამდე.

მუშკორი ცხემლისხიდელი.

კულტურული ფრონტი

(ორჯონიძის სახ. კლუბის გახსნა).

ხელისუფლების მთავარი ყურადღება ამჟამად მიმართულია მუშათა კლასის კულტურულ აღორძინებისაკენ.

დღემდე კომპარტიის უმთავრეს მიზანს პოლიტიკური და ეკონომიური ფრონტის სრული დამორჩილება წარმოადგენდა.

დასახული ამოცანა ხედმიწვევით შესრულდა. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი იმდენად ხერხემალ გამაგრებულია, რომ ვერავითარი კონტრ-რევოლუციის მის საღს კედლებს ვეღარ გაარღვევს. ლენინის ფოლადისებურმა სიმტკიცემ რუსეთის პროლეტარიატის ნებისყოფა გააქვითა.

პოლიტიკური მეობის ბატონ-პატრონი მუშათა კლასი შეიქნა.

საქმრო კულტურული ფრონტის დაპყრობაც ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი კიდევ გასაკეთებელია. კულტურულ დარგში გამარჯვების ერთ ზეიმით 10 აგვისტო ჩაითვლება.

ამ დღეს ამხ. რკინისგზებზე არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით გახსნეს თავისი კლუბი, რომელსაც დაუკავშირეს ამხ. სერგო ორჯონიძის სახელი.

სალამოს 10 საათზე კლუბის ლამაზი ეზო პროლეტარიატით გაიქცა.

საზეიმო სხდომის ხსენს ამხ. ლ. ქავთარაძე, პირველი სიტყვით დამსწრეთ მიმართა ამხ. ვაშაკიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა მუშათა კლუბების დიად მნიშვნელობას და აღნიშნა დორპროფსოეის, რ.-გზის მმართველობის, პოზდევის და სხვების დახმარება, რომლითაც შესაძლებელი გახდა კლუბის მოწყობა და მისი უზარმაზარი ეზოს რკინით შემოარგვა.

პირველ რაიკომის სახელით მოხდენილ სიტყვის ამბობს ამხ. აზრუმელაშვილი.

რკინისგზელთა ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირის სახელით ლაპარაკობს ამხ. ლალო ქავთარაძე, რომელიც ვრცლად ეხება ჩვენი კულტურული მუშაობის დადებით მხარეებს და ადარებს მას მენშევიკების მუშაობასთან.

ცეკას და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის „შტურმის“, სახელით მისალოც სიტყვას ამბობს პოეტი ტანდიტი.

დასასრულ მისასალმებელი სიტყვა წარმოიტკეა ყოფილმა მენშევიკმა შ. გომართელმა. ზეიმის დახურვის შემდეგ გაიმართა კინო და სხვა და სხვა გასართობები. შ. განიძე.

სტოპვან პენაშვი. პარტიის

(კავთახევის რაიონი—გორის მაზრა)

1. ქსოველი ვარსო	პარტ.	1905 წ.
2. ხუტაშვილი ვასო	—	1918 —
3. კანდელაკი მინა	—	1918 —
4. არაქლოვი ივანე	—	1920 —
5. სარალაშვილი ვანო	—	1998 —
6. კერესელიძე გიგო	—	1918 —
7. ხარვალაძე ილექსი	—	1917 —
8. ვალუხაშვილი მათე	—	1917 —
9. ირემიშვილი ზაქარია	—	1917 —
10. ალავერდაშვილი ვანო	—	1917 —
11. მერებაშვილი შაქრო	—	1917 —
12. ხიზანაშვილი იოსები	—	1905 —
13. კვერციანიშვილი დიმიტრი	—	1917 —
14. კაკაშვილი ალექსი	—	1905 —
15. დედანაშვილი ალექ.	—	1905 —
16. ვეშაბიძე იოსებ	—	1917 —
17. ქათანაშვილი კოლა	—	1917 —
18. ალაბიშვილი სანდრო	—	1917 —
19. შატერაშვილი ივანე	—	1903 —
20. ხუციშვილი დავით	—	1905 —
21. აბუაშვილი გიგო	—	1917 —
22. კავთახევილი დავით	—	1918 —
23. კაციაშვილი ბაგრატ	—	1918 —
24. ქსოველი ვარსო	—	1917 —
25. ქსოველი ყაზარა	—	1917 —
26. ნონიკაშვილი ხეჩო	—	1917 —
27. ბასიაშვილი სარკისი	—	1917 —
28. ვერცხნიშვილი დიმიტრი	—	1919 —
29. ხუციშვილი პავლე	—	1919 —
30. ხუციშვილი ვანო	—	1918 —
31. ქინჭარაული ალექსი	—	1917 —
32. მერებაშვილი გრიგოლი	—	1905 —
33. ბურბუაშვილი ივანე	—	1905 —
34. ქსოველი კოლა	—	1918 —
35. გოგილაშვილი მოსე	—	1917 —
36. გოგილაშვილი ლევანი	—	1917 —
37. ლაბუაშვილი მათე	—	1917 —
38. მუხიგული დავითი	—	1917 —
39. ძიძგური მელიტონი	—	1905 —
40. მამულაშვილი დიმიტრი	—	1917 —
41. ბერბუაშვილი ნიკო	—	1917 —
42. ნონიკაშვილი გიგო	—	1917 —
43. დათუაშვილი ვანო	—	1917 —
44. ბასიაშვილი გიორგი	—	1917 —
45. პაპიაშვილი სანდრო	—	1918 —
46. ბასიაშვილი შაქრო	—	1905 —
47. უეილაშვილი სანდალა	—	1918 —
48. ასრათაშვილი იოსები	—	1917 —
49. კვერციანიშვილი ილიკო	—	1917 —
50. კაციაშვილი გიგა	—	1917 —
51. კანდელაკი ადამ	—	1902 —
52. მუხიგულაშვილი სონკა	—	1917 —
53. ონოფრიშვილი ვანო	—	1904 —
54. შაყულაშვილი ვასო	—	1920 —

მეცნიერული ამბები

ბანდიტების მსხვერპლი.

(თელავი).

თელავსა და სოფ. ყვარელ შუა არის ქალა; ამ ქალაში, რამდენიმე დღის წინეთ, გაძარცვეს ბანდიტ-ავაზაკებმა მგზავრები, რომლებიც მიემგზავრებოდნენ ყვარელისაკენ. სოფელ წინანდლიდან წავიდა მილიციის უფროსი მეჩიტოვი, თანაშემწით და ერთი მილიციონერით ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენათ, მაგრამ ავაზაკები მილიციას მოულოდნელათ თავს დაესხნენ და წუთისთევს გამოასალმეს ხსენებული მეჩიტოვი. მისი თანაშემწე მძიმეთ დასკარეს, მხოლოდ მილიციონერი კი გადაარჩა. მეჩიტოვის დაკრძალვას მრავალი ხალხი და რაიმილიციის თანამშრომლები მთლიან შემადგენლობით დაესწრენ.

მართალია, ერთი უდანაშაულო და სპეტაკი ადამიანიც იმსხვერპლეს არამზადა ბანდიტ ყაჩაღებმა, მაგრამ ღრმბათ ვართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთში ათს აზღვიენებს.

რაც მალე, მით უკეთესი.

არტ. დავითიანი.

გ ა რ ე კ ა ს ე თ ი

სართიქალის თემში მ-ავგისტოს მოხდა დემონსტრაცია და მიტინგი. მიტინგს დაესწრენ მულანლო, როზენფელდის, სართიქალის, მალხაზოვის, ხაშმის მცხოვრებნი და ვაზიანში ლაგირათ მდგომი წითელ არმიის ნაწილები. მოხსენება გააკეთა რაი-პარტიკომის მდივანმა ნ. ფირიაშვილმა. მის შემდეგ ილაპარაკა 12-ორატორმა ქართულ, რუსულ და ნემეცურ ენაზედ-ყველა გამოხდა კაცობრიობის განმანადგურებელ იმპერიალისტურ ომს..

დასასრულ შესაფერი საპროტესტო რეზოლუციები გამოიტანეს.

ამავე მიტინგზედ იყო საზეიმოთ გამართული 6-ადლიანი გვირგვინი იმის აღსანიშნავად, რომ როზენფელდის საზოგადოებამ დაავიკრგვინა და დამთავრა გვირაბი, სარწყავი არხი, რომელიც იორიდან გამოიყვანა.

უკვე შეუდგა გ/კახეთის აღმასკომის პრეზიდიუმში შიგ როზენფელდში 5-თვის განმავლობაში ივრის ენერჯით ჰიდრო ელექტრონის სადგურის მოწყობას.

საამისო პირობები დაწერილიც არის ჰიდრო-ელექტრონის ტრესტთან.

ხალხი გულის ფანცქალით ელოდება ამ დიად განზარხების დაწყებას და დამთავრებას. დახმარების იმედი ყველა დაწესებულებიდან არის.

ჩვენ უნდა ვეცადოთ უსათუოდ მოვაგვა-როთ შემდეგი საქიბოროტო და ხალხისათვის მეტად მნიშვნელოვანი საქმეები:

1) მცხოვრებლებისათვის საღ და სუფთა წყალის მოწოდება, რომ თავიდან აცილებულ იქნას ავადმყოფობანი;

2) სარწყავი არხები, რომელზედაც დიდათ არის დამოკიდებული ჩვენი სოფლის მეურნეობა;

3) სახნავი ტრაქტორები, ჰიდრო-ელექტრონის სადგურები, რომელიც დაამტკიცებს ჩვენს წინსვლას კულტურისაკენ;

4) დასაწყისიდან დაბოლოებამდე სკოლები და სამკეთველოები მარჯვე დადგილებზე, ბეჯითი მასწავლებლებით—აი, რა გვიხსნის ჩვენ სიბნელისა და გაჭირვებისაგან.

გარე-კახელი გლეხი ტურა.

სხვა სხვა ამბები

— მენშევიკურ პარტიის უკანახკნელ ყრილობის აღხანიშნავად, 25 აგვისტოს 1924 წ. თბილისში შესდგება ყრილობის მონაწილეთა გაუართოებული თათბირი.

— თათბირის მომწყობ კომისიამ უკვე დაუგზავნა ადგილობრივ ამხანაგებს მოსაწვევი მიწერილობები.

— სიმართლის ხმის მორიგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 25 აგვისტოს. კურნალი მიძღვნილი ექნება ყრილობის წლის თავს.

საგარეო პოლიტიკა

— უკრაინაში მიიღეს 5 კაპიტან სპილენძის ფულის პირველი პარტია 30,000 მანეთის რაოდენობით.

— მოსკოვში ჩამოფრინდა ჰაეროპლანით ინგლისის პარლამენტის და მუშათა პარტიის წევრი არაბელა ლაურენსი.

— რ. კ. პ. (ბ.) ცეკას დადგენილებით უმაღლესი სასწავლებლები უნდა შეესაბამებოდეს კომუნისტ-მასწავლებლებით. პარტმოვალეობის გზით ამისათვის გამოყოფილი იქნება ყველა მარქსისტულად მოზადებული კომუნისტები.

— ქ. მინსკში დააპატიმრეს პოლონეთის ჯაშუში ქალი კულჩინსკია, რომელსაც ბევრი ყურადღებას საბუთები აღმოაჩინდა.

— ვლადივანტოვში დიდი სიკვდილი იდგა; ჰქონდა ადგილი ადამიანების სიციხისგან დაცვას.

— ნიუნი ნოვგოროდის ბაზრობაზე სპარსელი ვაჭრები დიდ პარტიობით იძენენ საბჭოთა კალოშებს.

უცხოეთის ცნობები

— საფრანგეთის მთავრობის აზრით რუარის ევაკუაციის დაწყებისთანავე გერმანიაზე უნდა დაწესდეს იქმნას სასტიკი კანტროლი.

— ერიოს მიერ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ საფრანგეთის კაბინეტმა მოიწონა პრემიერის პოლიტიკა ლონდონის კონფერენციაზე.

— ამერიკის შეერთებული შტატები უარს აცხადებენ საფრანგეთის ვალების პატივებაზე, რომელსაც ერიო მოითხოვდა სარეპარაციო კითხვაში დათმობის საკომპენსაციო.

— რუარის ოლქში საფრანგეთი ახალ ყაზარმებს აშენებს.

— იაპონია საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს ჩინეთთან. მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული.

— გერმანია-საფრანგეთის დელეგაციების შეთანხმებით გამოცხადდა რუარის ოლქში ფრანგების მიერ დაპატიმრებულ გერმანელთა ამნისტიკა.

— ინგლის-საბჭოთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე აშხ. რაკოვსკი ხუთი დასაბუთებული დეკლარაციით გამოვიდა.

— აშხ. რაკოვსკის დეკლარაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბესარაბიის კითხვას.

— ინგლისის კონსერვატორები გააფთრებულ კომპანიას აწარმოებენ მთავრობის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულების გარშემო.

— საფრანგეთის დელეგაცია რუარის ევაკუაციის დაწყებას ფიქრობს ერთი წლის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთს მიენიჭება ეკონომიური უპირატესობა.

— მარშალი ფოში იწონებს ერიოს პოზიციას ლონდონის კონფერენციაზე.

— ამერიკის ელჩმა ნათის ექსპლოატაციის კითხვის გამწვანების გამო დასტოვა რუმინეთი.

— ხარტუმში (აფრიკა) მოხდა ანტიინგლისური დემონსტრაცია. არის დახოცილები და დაჭრილები.

— პარიზის რეპეციონური პრეზიდენტობის ხელი შეუშალს საფრანგეთ საბჭოთა დაახლოების საქმეს.

— გერმანია-საფრანგეთის შორის სეპარატიული მოლაპარაკება სწარმოებს კომერციულ ხელშეკრულების დადების შესახებ.

— ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ მოკავშირეთა ელჩებმა ოსმალეთის მთავრობას თავიანთი რწმუნებულების ქაღალდები წარუდგინეს.

— ევკიპტეს მთავრობამ გადასწყვიტა სუეცის არხის გაფართოება.

— რუმინეთ-ბულგარეთმა პირობა დასდეს კომუნისტურ პროპაგანდის წინააღმდეგ შეთანხმებით საბრძოლველად.

პოლიტიკური მიმოხილვა

(გეარადან-გეარამდე)

უკანასკნელი კვირა ლონდონის კონფერენციაზე მოკავშირეთა რუარის სიჭიბის გარშემო დავაში გავიდა.

ოპტიმისტური განწყობილება, რომლითაც მოცული იყო ევროპის პოლიტიკური სფეროები ლონდონის კონფერენციის დასრულების შესახებ, უკანასკნელ ცნობების თანახმად რამდენიმე შეიცვალა.

ერიო-მარქსის მეგობრულმა ვიზიტმა, მშვიდობიან და მორჩილების ტონით გამსკვლავლულ გერმანიის დელეგაციის დეკლარაციამ პირველ ხანებში ერთობ დამაშოშინებელი ტონი შეიტანა კონფერენციის მუშაობაში და თითქოს იქვე აღარავის ებადებოდა მის შეთანხმებით დაუსრულებლობაში.

მაგრამ რუარის კითხვა არც ისე ადვილი გადასაჭრელი აღმოჩნდა, როგორც ეს პირველ დღეებში მოსჩანდა.

საფრანგეთის დელეგაცია არ სთმობს ასე ადვილათ ისეთ მსუყე, გემრიელ ლუკმას, როგორც რუარის ოლქია. გერმანიისათვის რუარის განთავისუფლებას, მის კვლავ ეროვნულ მრეწველობისათვის დაბრუნებას ყოფნა-არყოფნის მნიშვნელობა აქვს.

იმ დროს, როდესაც გერმანიის დელეგაცია მორჩილების ენით ებასებოდა საფრანგეთის დელეგაციას და თავს კონფერენციის მშვიდობიანათ დასრულების მომხრეთ იკატუნებდა, გერმანიაში ნაციონალისტურმა პარტიებმა საშინელი განგავი ასტეხეს, მთავრობას უნდობლობის გამოცხადებით და გადაყენებით ემუქრებთან.

ეს ხრიკი ახალი მოვლენა არ არის ბურჟუაზიულ დიპლომატიის პრაქტიკაში. ნაციონალისტების მიერ წარმოებული მთავრობის საწინააღმდეგო კომპანია, უნდა ვიფიქრო, თვით მთავრობის შთაგონებით მოწყობილი სტრატეგიული მანევრია, რომ მოწინააღმდეგე მხარე გერმანიის შინაურ გაერთულებით დააშინოს და დათმობის მაქსიმუმი გამოსტაცოს.

დეპეშების ცნობის თანახმად, ნაციონალისტურ პარტიების კომპანიასთან ერთად გერმანიის დელეგაციამ უკვე იცვალა კილო და უფრო გაბედული ტონი აიღო.

ლონდონიდან გადმოცემული რადიო გვაუწყებს, რომ მურნალის ტებთან საუბრის დროს კანცლერ მარქსმა ვულახილიად განაცხადა მდგომარეობა მეტად კრიტიკულია, რადგან რუარის ევაკუაცია გერმანიისათვის ყოფნა არყოფნის კითხვაა.

კითხვა უმთავრესად ეხება ევაკუაციის ვადის განსაზღვრას. მაშინ, როდესაც გერმანიის დელეგაცია რუარის ევაკუაციის დაწყებას 1925 წ. 10 იანვრიდან მოითხოვს, საფრანგეთი ევაკუაციის ვადათ 1925 წ. 15 აგვისტოს ნიშნავს.

მოკავშირეთა კონფერენციის გარდა, ამ კვირამ ევროპის ბურჟუაზიული პრესა კვლავ დიდი ყურადღებით ჩერდებოდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულობაზე.

ინგლისის კონსერვატორული პრესა გაშმაგებით განაგრძობს მთავრობაზე თავდასხმას და გადაკრით უარს აცხადებს ხელშეკრულების რატიფიკაციაზე პარლამენტში. ამ პარტიის აზრით ინგლის-საბჭოთა კავშირის შორის დადებული ხელშეკრულება კაპიტულიაცია რუსეთის კომპარტიის წინაშე და ინგლისის ფინანსიურ წრეებისათვის არსებითად სარგებლიანობის მოტანა არ შეუძლია.

სჩანს ამით ინგლისის ბურჟუაზიას უნდა გავლენა მოახდინოს საბჭოთა კავშირზე და მომავლისთვის დათმობის მეტი შესაძლებლობა შევქმნას.

წერილი რედაქციის მიმართ.

აშხ. რედაქტორ!

1903 წლიდან 1921 წლამდე მე ვმუშაობდი რ. ს.-დ. მუშათა პარტიაში, 1908 წელში გადასახლეს ციმბირში, სადაც დავარჩი 1917 წლამდე, 1918 წელში დაბრუნდი თბილისში და დავიწყე მუშაობა საქართველოს მენშევიკურ პარტიაში. აქ მე ვეკუთვნოდი სხიველეთის ჯგუფს 1921 წლამდე, საქართველოს საბჭოების დღიდანვე მე ჩამოვშორდი, როგორც მენშევიკურ პარტიას, აგრეთვე მის მიჩანაღა კუდს, სხიველების ჯგუფსაც.

ამიტომ ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, რომ მე არაფერი საერთო არა მაქვს მენშევიკურ პარტიასთან და უერთდები ყოფილ მენშევიკების მიერ ყრილობაზე მიღებულ დეკლარაციებს.

პ. ს. მეიფარიანი.

სარედაქციო კოლეგია:

- ა. ფარნიევი.
- ა. რუხაძე.
- კ. თოფაძე.
- ნ. ჩლაიძე.
- გ. ვარდიანი.
- ა. ჭკონია.